სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 ივნისი 2000 №116 (1138) | ფასი 50 თეთრი

REUTERS ბარლეტტაზე

კევინ კიგანმა და სათადარიგო ინგლისელებმა მწარე სიმართლეს თვალი ვერ გაუსწორეს

UEFA EURO 2000

A ჯგუფი

ინგლისი	2
რუმინეთი	3
პორტუგალია	3
გერმანია	0

რუმინეთმა დიდ საფეხბურთო შეჯიბრებაში ზედიზედ მეორედ დაამარცხა ინგლისი, ფავორიტად შერაცხული ჯგუფში ჩატოვა და ჩვენთვის ერთობ საინტერესო მეოთხედფინალური წყვილიც შეადგინა: მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელები რუმინეთი და იტალია ერთმანეთს დაეჯახნენ. ისინი შაბათს, 24 ივნისს ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე“ ითამაშებენ. გერმანიამ კი მორიგი სირცხვილი ჭამა. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატისა არ იყოს, 0:3 წაგებული მიემგზავრება შინ ნაადრევად. პორტუგალია ევრო 2000-ზე იტალიის მერე მეორე გუნდი გახდა, ვინც ჯგუფიდან ქულის დაუკარგავად გავიდა და შაბათსვე ამსტერდამის „არენაზე“ მეოთხედფინალში თურქებს დაუპირისპირდება.

იხილეთ მეორე-მეშვიდე გვერდები

რა ხდება?

რუმინეთმა და პორტუგალიამ ინგლისი და გერმანია ევროპიდან მოკვეთეს

REUTERS როტერდამიდან

ერიხ რიბეკის ჯოჯოხეთი როტერდამში არ დასრულებულა: რა იქნება გერმანიაში?

პორტუგალიელმა სერჟიუ კონსეისაუმ (მარჯვნივ) ცალკე ოლივერ კანი გაამწარა და შეარცხვინა, ცალკე — მთელი გერმანია

ვაი, ინგლისო, ვაი, საქართველო!

A ჯგუფი

შარლერუა
20 ივნისი
23.45 საათი
კომუნალი
30 000 (ტევადობა 30 000)

ინგლისი 2:3 რუმინეთი

0:1 კიკუ (23), 1:1 შირერი (41ბ), 2:1 ოუენი (45), 2:2 მუნტეანუ (48), 2:3 განეა (89ბ)
ინგლისი: მარტინი, გ. ნევილი, კემპბელი, კიოუნი, ფ. ნევილი, ბეტემი, ინსი, სკოულზი (სუუთგეიტი 81), უაიზი (ბარმბი 75), შირერი, ოუენი (ჰესკი 67)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
რუმინეთი: სტელეა, ფილიპესკუ, პოპესკუ (ბელოდედიჩი 32), კონტრა, პეტრესკუ, გალკა (როსუ 68), მუტუ, მუნტეანუ, კიკუ, მოლდოვანი, ილიე (განეა 74)
მწვრთნელი: ემერიხ იენეი
გაფრთხილება: კიკუ, პეტრესკუ, კონტრა, ილიე, შირერი, ფილიპესკუ
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

კარისკენ დარტყმა: 3-10; კარში დარტყმა: 1-5; ჯარიმა: 20-11; კუთხური: 1-7; თამაშგარე: 6-9

REUTERS შარლერუადან

რუმინელთა ახალთაობელი ადრიან მუტუ და მარტინ კიოუნი

კობა ინასარიძე

თანავუგრძნობ ინგლისის ნაკრების ქომაგებს. საყვარელი გუნდის გაჩემპიონებაზე რომ ფიქრობდნენ, წუხელ იმედგაცრუებულნი დარჩნენ და ახლა ის იკითხონ, ინგლისელმა გიჟმაჟმა ფანებმა ბელგიური შარლერუა თუ მილეწ-მოლეწეს და უეფამ ნაკრები ევროპას მთლად ჩამოაშოროს.

თანავუგრძნობ შარლერუას მკვიდრთაც. ინგლის—გერმანიის მატჩამდე რაც ამ პატარა ქალაქში ხდებოდა, ალბათ ყველას მოგეხსენებათ და ახლა... რუმინელებთან წაგება, ჯგუფში ჩარჩენა და ბენილუქსის ნაადრევად დატოვება აკლდათ ინგლისელ ბახუსისმოყვარულ გულშემატკივრებსა და შარლერუელებს. კარგია, ნამატჩევს ყველაფერი შშვიდობიანად თუ ჩამთავრდება, თუმცა ამაში ეჭვი გვეპარება. დაიოკებენ ინგლისელები მწარე ემოციას? საკითხავი ესაა.

30-ე ზაფხულია, ინგლისის ნაკრებს რუმინელთათვის ვერ მოუგია. 1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ალბიონელებს ბალკანელები ოფიციალურ შეხვედრებში არ დაუმარცხებიათ. მოდი ახლა და თქვი, რუმინელთა გუშინდელი გამარჯვება შემთხვევითი იყოო. გუშინდელი მატჩის მხილველს არა მგონია, ამის სათქმელად ენა მოუტრიალდეს.

პირწმინდად დაჩაგრეს იენეის შეგირდებმა კიგანის რჩეულნი. თან იმის მიუხედავად, კიკუს შემთხვევით გოლს ინგლისელებმა ზედიზედ ორი რომ მიაყოლეს და ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ. ალალი გახლდათ რუმინელებზე გუშინდელი მოგება ჩემპიონობის ფავორიტებმა კი ის ვერ შეძლეს „კომუნალზე“ ქულა მოეპოვებინათ და მეოთხედფინალში იტალიელებს შებმოდნენ. არც გუშინდელი და არც წინა ორი თამაშით არ იმსახურებდა ამას კიგანის ნაკრები. ასეთი გუნდი მყავს, ისეთიო, ტრაბახობდა ჩემპიონატამდე მწვრთნელი. როგორიც ყოფილა, რუმინელებმა დაგვანახეს.

რომ თქმულა რომ არის, ზოგი ჭირი მარგებელიაო, აქამდე ათასჯერ დადასტურებულა. გუშინ კი ამის ერთი მაგალითიც იყო. რუმინელთა ლიდერი და კაპიტანი გეორგე ჰაჯი ორი გაფრთხილების გამო თანაგუნდელებს ტრიბუნიდან რომ ქომაგობდა, მგონი, ეს უფრო სასარგებლო გახლდათ რუმინელებზე გუშინდელი მოგება ჩემპიონობის ფავორიტებმა კი ის ვერ შეძლეს „კომუნალზე“ ქულა მოეპოვებინათ და მეოთხედფინალში იტალიელებს შებმოდნენ. არც გუშინდელი და არც წინა ორი თამაშით არ იმსახურებდა ამას კიგანის ნაკრები. ასეთი გუნდი მყავს, ისეთიო, ტრაბახობდა ჩემპიონატამდე მწვრთნელი. როგორიც ყოფილა, რუმინელებმა დაგვანახეს.

რომ თქმულა რომ არის, ზოგი ჭირი მარგებელიაო, აქამდე ათასჯერ დადასტურებულა. გუშინ კი ამის ერთი მაგალითიც იყო. რუმინელთა ლიდერი და კაპიტანი გეორგე ჰაჯი ორი გაფრთხილების გამო თანაგუნდელებს ტრიბუნიდან რომ ქომაგობდა, მგონი, ეს უფრო სასარგებლო გახლდათ რუმინელებზე გუშინდელი მოგება ჩემპიონობის ფავორიტებმა კი ის ვერ შეძლეს „კომუნალზე“ ქულა მოეპოვებინათ და მეოთხედფინალში იტალიელებს შებმოდნენ. არც გუშინდელი და არც წინა ორი თამაშით არ იმსახურებდა ამას კიგანის ნაკრები. ასეთი გუნდი მყავს, ისეთიო, ტრაბახობდა ჩემპიონატამდე მწვრთნელი. როგორიც ყოფილა, რუმინელებმა დაგვანახეს.

ინგლისელთა მწვრთნელმა **კევინ კიგანმა** განაცხადა, რომ ის და მისი გუნდი განადგურებულნი არიან რუმინელებთან მარცხით.

„არაფერი გამოგვივიდა. ამ ტურნირზე საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა ვერ მოვახერხეთ და ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია. მიზანსწრაფულობა არ გვაკლდა, სამი მატჩის მანძილზე ჟინიანად ვიბრძოდით, მაგრამ ბოლოს ყველაფერი წყალში გადავყარეთ. ჩვენი აქილევსის ქუსლი უზუსტო გადაცემები იყო. ახლა, საჭიროა სწრაფად დავივიწყოთ ეს წარუმატებლობა და ახალ მიზნებზე ვიმუშაოთ.“

გამარჯვებისა და ბოლო წუთებზე მისი გუნდის სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანის დანიშვნის მიუხედავად, რუმინელთა მწვრთნელი **ემერიხ იენეი** მთავარ მსაჯ ურს მაიერზე განაწყენებული დარჩა.

„განსაკუთრებით იმან აღმაშფოთა, რომ მსაჯმა მთ ტყუილუბრალოდ აჩუქა თერთმეტმეტრიანი, ჩვენ თამაშის წესი არ დაგვირღვევია. ვფიქრობ, ინგლისელებმა მეორე გოლიც თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს. ეს ორი დიდი შეცდომა იყო. ინგლისელები ნამდვილი ჯენტლმენებივით, სამართლიანად ირჯებოდნენ, მაგრამ ჩვენ ისინი ტაქტიკურადაც დავჯაბნეთ და ტექნიკურადაც“

მსაჯის გამოთათხვის შემდეგ იენეის საკუთარი გუნდის შექებაც არ დავიწყებია: „ჩვენ ვოქვით, რომ ჰაჯის დაკარგვას კოლექტიურად ავანაზღაურებდით და მოვახერხეთ კიდეც. ინგლისმა იმიტომ ითამაშა ასე ცუდად, რომ ჩვენ არ დავანებეთ. დევიდ ბექემს და ჰოლ სკოულზს მთელი მატჩის მანძილზე არაფერი გაუკეთებიათ, ისინი თითქმის მთლიანად გამოვთიშეთ თამაშს.“

REUTERS შარლერუადან

მატჩის შემდეგ

ნეკროლოგი ტაბლოზე

A ჯგუფი

როტერდამი
20 ივნისი
23.45 საათი
ფეიენოორდი
44 000 (ტევადობა 52 000)

პორტუგალია 3:0 გერმანია

1:0, 2:0, 3:0 სერჟიუ კონსეისაუ (36, 54, 71)
პორტუგალია: ეშპინია (კიმი 89), ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, რუი ჟორჟე, ბეტუ, კოშტინია, პაულუ სოუზა (ვიდიგალი 71), სერჟიუ კონსეისაუ, სა პინტუ, პაულეტა (ნუნუ გომეში 67), კაპუჩო
მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ
გერმანია: კანი, რემერი, ლინკე, მათეუსი, ნოვოტნი, დაისლერი, ბალაკი (რინკი 46), ჰამანი, შოლი (ჰესლერი 60), ბოდე, იანკერი (კირსტენი 69)
მწვრთნელი: ერიხ რიბეკი
გაფრთხილება: იანკერი, ბალაკი, ბეტო, დაისლერი, რინკი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 7-10; ჯარიმა: 18-19; კუთხური: 4-7; თამაშგარე: 2:1

სოლომონ გულისაშვილი

საბჭოეთის დროს კომუნისტებს ერთი დაუწერელი კანონი ჰქონდათ: სანამ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენმდივანი თავისი სიკვდილით არ აღესრულებოდა, მანამ პირველკაცად ეჯდათ. ხელოვნურად, წამლებითა და რაღაც ჯადო-ხერხებით უხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. საწყალი, ფიტულსდამსგავსებული კაცი აქეთ-იქით დაჰყავდათ, ჩამქრალ თვალებში შესციცინებდნენ და ქვეყნის ავ-კარგს ეკითხებოდნენ. მაგრამ, ბოლოს მაინც აღარაფერი შველოდა .და კვდებოდა. აი, ასეთი იყო გუშინ გაერთიანებული გერმანიის ნაკრები — უნიათო, უჯიგრო და საცოდავი. პორტუგალიის ლამის მეორე ნაკრებთან ნაჭამი სირცხვილიც ბუნებრივად ჩანდა...

გერმანელებში ყველას ისევ 39 წლის ლოთარ მათეუსი სჯობდა, რომელიც ბუნდესნაკრებში 150-ე მატჩს ატარებდა. ბებერ მგელს კიდევ შერჩენოდა ჟინი, ღირსება და პასუხისმგებლობა. დანარჩენები კი...

ორი წლის წინათ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიამ ხორვატებთან ასვე 0:3 წააგო და შერცხვენილმა დატოვა ტურნირი. ამ დღიდან ალბათ ახალი, ენერგიით სავსე გუნდის შენება უნდა დაეწყოთ, მაგრამ ისევ ძველების ხარჯზე მოინდომეს ფონს გასვლა და მწარედ მოტყუვდნენ.

მართალი იყო გერმანელების ფეხბურთელი-ლეგენდა გიუნტერ ნეცერი, როცა ამბობდა: „ბოლო ორი წელიწადია, გერმანულ ხასიათს ვეღარ ვავლენთ, ვეღარც გამართული გუნდური თამაში გამოგვდის. სადღა არიან ვარსკვლავები, რომლებსაც ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით, მარტოებს შეეძლოთ მატჩის ბედის გადაწყვეტა... საკითხავი ისაა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე...“

ხასიათის სიმტკიცე და ერთსულოვნება, აი, რა აკლდათ წუხელ გერმანელებს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს ფოგთსი იქნება მწვრთნელი, რიბეკი თუ ჰაინკესი. ეტყობა, პრობლემა უფრო ღრმაა და მის მოგვარებას წლები დასჭირდება...

ხასიათის სიმტკიცე და ერთსულოვნება იყო ყოველთვის გერმანელების მთავარი ღირსება. აბა, გაიხსენეთ რამდენი უმნიშვნელოვანესი თამაში გადაურჩენიათ ბოლო წუთებზე, რამდენი გაუოცებიათ თავისი წესრიგითა და ოსტატობით...

ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე გერმანელებმა ორჯერ მსოფლიოს და სამჯერ ევროპის ჩემპიონობა მოიგეს, ყველაზე მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპულმა ნაკრებმა. ნებისმიერი დიდი ტურნირის ნახევარფინალ-ფინალიც ხომ უგერმანელებოდ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ... მოსახდენი მოხდა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ტრადიციების ნაკრები აღესრულა...

სამი მატჩი ჯგუფში, ორი წაგება და ფრე, 1 გატანილი, 5 გაშვებული ბურთი და ბოლო ადგილი — განა ეს გერმანელების საკდრისი შედეგია?...

ვეტერან ლიბეროს, ლოთარ მათეუსს საიუბილეო 150-ე (და ალბათ ბოლო) სანაკრებო შეხვედრა ჩაუშწარდა. შეცვლაზე შესული ულფ კირსტენისთვის კი ეს მე-100 მატჩი გახლდათ ბუნდესნაკრებში (49 გდრ-ის, 51 გაერთიანებული გერმანიის ეროვნულ გუნდში), მაგრამ ვის ახსოვდა ეს ციფრები — მთავარი და მართალი ციფრები ტაბლოზე ენთო...

რომის „ლაციოს“ 25 წლის ნახევარმცველმა სერჟიუ კონსეისაუმ ოლივერ კანს სამჯერ გაუტანა და ევრო 2000-ის პირველი ჰეთ-თრიქის ავტორიც გახდა. გარდა ამისა, პორტუგალიელებს კიდევ უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ.

გერმანელებმა საფუძვლიანად მხოლოდ ერთხელ უჩხვლიტეს მოწინააღმდეგეს: დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო, როცა იანკერ-შოლბოდეს კომბინაციის შემდეგ ბურთი პორტუგალიელთა კარის ძელს მოხვდა. სულ ეს იყო...

იდგა დაღლილი, დათრგუნული მათეუსი მინდვრის კიდესთან და მოზეიმე პორტუგალიელებს უცქერდა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ამ დროს, იქნებ ნანობდა კიდეც, პირად რეკორდს აყოლილი ჩემპიონატზე რომ გაემგზავრა...

პორტუგალია	3	3	0	0	7:2	9
რუმინეთი	3	1	1	1	4:4	4
ინგლისი	3	1	0	2	5:6	3
გერმანია	3	0	1	2	1:5	1

REUTERS როტერდამიდან

იუბილეჩამწარებული მათეუსი პორტუგალიელთა სიხარულს შესცქერის

მატჩის შემდეგ

გერმანელთა მწვრთნელ **ერიხ რიბეკს** არ დაუმალავს თავისი იმედგაცრუება: „ძალიან მტკივნეული მარცხი იყო. კრიტიკას არ გავერიდები, ადრეც მითქვამს, რომ თუ ჯგუფურ ეტაპიდან ვერ გავაღწევდით, თანამდებობიდან გადავდგებოდი, თუმცა ამჟამად ამაზე საუბრის დრო არ არის. ჩვენს მოთამაშეებს ფიზიკური სიძლიერე და მონდომება აკლდათ. გუნდზე მე ვაგებდი პასუხს და ვაღიარებ, რომ ჩემს მოვალეობებს თავი ვერ გავართვი.“

გუნდის მეკარესა და კაპიტან **ოლივერ კანს** დანა პირს არ უხსნიდა: „მრცხვენია. ასე საშინლად არასოდეს გვითამაშია და დამნაშავენი უპირველეს ყოვლისა ჩვენ, მოთამაშეები ვართ. მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო, რათა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე უკეთ ვიასპარეზოთ.“

არანაკლებ იმედგაცრუებული გახლდათ **იენს ნოვოტნიც**: „მეორე ტაიმში ჩვენ უბრალოდ დავნებდით და უკვე აღარც გვწამდა, რომ მატჩის გადარჩენა შეგვეძლო.“

თავის მხრივ, პორტუგალიელთა მწვრთნელმა **უმბერტუ კოელიუმ** იუარა, რომ გერმანელებთან სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა: „ჩემს გუნდში მეორეხარისხოვანი არავინ არის, თითოეულს ძალუძს მნიშვნელოვანი როლის თამაში ევრო 2000-ზე. ძალიან გამიხარდა, რომ ბოლომდე შევინარჩუნეთ კონცენტრაცია, ახლა კი თურქეთთან შეხვედრაზე უნდა დავიწყოთ ფიქრი და მზადება.“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევრო 2000 თურქთაგან დაღონებული ბელგიელი ფეხბურთელების გარეშე დარჩა, ბელგიელებს კი საქომაგო მოყლდათ

სტუმარმასპინძლობა ევრო 2000-ის შემოქმედებაში

ილია ბაგუნაშვილი

ბრიუსელიდან

საფრანგეთის ნაკრებს ბევრი ევრო 2000-ის ფავორიტად მიიჩნევს. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონები ასეთი სტატუსით ერთადერთნი არ არიან, მაგრამ თუ ვინმეს მომავალ ჩემპიონად აღიქვამენ, ერთ-ერთი მათგანი საფრანგეთია. ოღონდ შეძლებს კი როჟე ლემერის გუნდი უცხოეთის სტადიონებზე გამარჯვებას? გავიხსენოთ, 1984 წელს მიშელ პლატინი და მისი თაობა ევროპის ჩემპიონებად შინ ეკურთხნენ. 1998 წელს ასევე შინ იზეიმეს მსოფლიოს ჩემპიონობა იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც დღეს კიდევ მოედანზე არიან და ბრიუგეს „უან ბრეიდელზე“ აგერ უკვე ორი შეხვედრა მოიგეს, თან ძალების მინიმალური ხარჯვით.

ასეთი მარტივი სტატისტიკა მარტივსავე ეჭვს აჩენს: მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი და ბელგია მეზობელი ქვეყნები არიან და, ვთქვათ, ბრიუსელიდან პარიზისკენ გაცილებით ხშირად გადის მატარებელი, ვიდრე თბილისიდან გორისკენ, ბორჯომისკენ და ქუთაისისკენ ერთად აღებული, ფრანგთა გუნდი აბსოლუტური ფრანგული გარემოცვის გარეშე, შესაძლოა, ფრთამოტეხილი დარჩეს. თუმცა, ეს ვარაუდია, ერთ-ერთი დასაშვები თეორიაა, სინამდვილეში კი, ჯერჯერობით, ზინედინ ზიდანს და კომპანიას საქმე დიდებულად მიუდით.

მასპინძლობა მართლაც საინტერესო თემაა. ხშირად გაიგებთ, რომ შინ თამაში დიდი უპირატესობაა, თუმცა, ასევე ხშირად უთქვამთ, დიდი ტვირთია და, ასე განსაჯეთ, ხელის შემშლელი ფაქტორიც კი არისო. ეს, ალბათ თავად გუნდზეა დამოკიდებული — ვისთვის როგორ. ძლიერს მასპინძლობა ეხმარება, შედარებით სუსტს კი ვინძლო მართლაც ურთულებდეს საქმეს: ხალხი ჩემპიონობას სთხოვდეს, ხოლო თავად გრძნობდეს, რომ ამის შემძლე არ არის და ითრგუნებოდეს, საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში ვარდებოდეს.

ჰოდა, აგერ ცხოვრებისგან ნაკარნახევ-ნაბოძები თითქმის ცინცხალი მაგალითიც და არგუმენტიც — გუშინწინდელი თურქეთი — ბელგია 2:0.

აქ სწორედაც უპრიანია ორი ამბის გახსენება ბელგიელთა გამო. პირველი შემთხვევა ევრო 2000-ის პირველ შეხვედრაში მოხდა, მეორე — მეორეში. ჩემპიონატის გახსნის დღეს, ბელგია-შვედეთის შეხვედრის მეორე ტაიმში მასპინძელი ვერჰეენი დაშავდა და სამკურნალოდ მოედანს გარეთ გაიყვანეს. ამ დროს მწვრთნელმა, რობერ ვასეეამ იგი შეცვალა. გავიდა რამდენიმე წუთი, ვერჰეენს ტკივილი დაუამდა და თამაშში დაბრუნება განიზრახა — არ იცოდა, შეცვლილი რომ იყო. კარგა ხანს იდგა კიდესთან, მსაჯის ყურადღების მიპყრობას ლამობდა, ხელს იქნევდა, მოედანზე შემომიშვითო. მისი მოწადინება თანაგუნდელთაგანაც მხოლოდ ერთმა თუ ორმა შენიშნა და ანიშნა, გამოცვლილი ხარ, სკამისკენ წადიო, მაგრამ ახლა ეს ვეღარ ხედავდა მეგობრების ჟესტიკულაციას. მოკლედ, ბელგია ლამის თორმეტი ფეხბურთელით აღმოჩნდა მინდორზე.

მეორე ეპიზოდი ბელგიისა და იტალიის მატჩისას მოხდა, ასევე მეორე ტაიმის ბოლოს. ვასეეამ ამჯერად ბრანკო შტრუპარი შეცვალა. გამოცვლილი მოედნიდან პირდაპირ... იტალიელთა სკამისკენ დაიძრა და დაახლოებით „სკუადრა აძურას“ მწვრთნელის დინო ძოფის გვერდით მოინდომა ჩამოჯდომა. მისთვის იმის ახსნას, რომ მეტოქის ბანაკში ლამობდა შერევას, გარკვეული ენერგიის ხარჯვა დაჭირდა.

ხომ არ ნიშნავს ყველაფერი იმას, რომ ბელგიის ნაკრები გაბრუებამდე აღელვებული იყო? იქნებ ჩემპიონატი მის სამშობლოში კი არა, სადმე სხვაგან რომ მიმდინარეობდეს, აღწერილი ამბები არ მოხდებოდა?

რაც შეეხება მეორე მასპინძელს, ჰოლანდიას, მასზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ამ გუნდის თამაში ცოცხლად ჯერ არ მინახავს და, შესაბამისად, ისეთი ნიუანსები, ბელგიელების მატჩების დროს ტრიბუნიდან რომ გამოჩნდა, ჩემთვის უცნობია. და მაინც, არაა გამორიცხული, რომ თანამასპინძელთაგან განსხვავებით ნიდერლანდელებისთვის საკუთარი კედლები დიდი პლუსი იყოს. ალბათ, ისევე, როგორც ფრანგებისთვის 1984 და 1998 წლებში.

ვიმეორებ, ამით სულაც არ ვამტკიცებ, რომ ფრანგები ევრო 2000-ს ვერ მოიგებენ, მაგრამ, ფაქტობრივად, მათი ნაკრები არის 1998 წლის გუნდს მინუს სამშობლო. მოედანზე იმავე ფეხბურთელებს ვხედავთ, რომელთაც ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინდელი შეჯიბრების დროს მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ პლანეტაზე პირველები არიან, ახლა კი თავადაც და სხვებსაც ეს ძალიან კარგად მოეხსენებათ.

აი, მაგალითი: მეორე ტურში საფრანგეთისა და ჩეხეთის შეხვედრისას ზიდანს რადეკ ბეიბლი მეურვეობდა, მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ კი ირჟი ნემეცი. ორივე ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელა. ბეიბლმა, შეიძლება ითქვას, ცალკეული ეპიზოდების გარდა ვარსკვლავთან ბრძოლას კარგად გაართვა თავი და მისი შეცვლა მხოლოდ დაღლის ბრალი იყო და არამც და არამც უნიათობის. და აი, თამაში დამთავრდა. საფრანგეთმა გაიმარჯვა 2:1. ჩეხებმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს. დაქანცული ზიდანი მოედანს ტოვებს, უკვე გვირაბის შესასვლელთანაა, როდესაც მის გვერდით ბეიბლი ჩნდება. ვიფიქრე, ვინმემ უთხრას, თამაში რომ დამთავრდა, ახლაც მეურვეობას ხომ არ აგრძელებს-მეთქი, მაგრამ თურმე ამაოდ ვღელავდი. ბეიბლმა ფრანგთა ლიდერს ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე კი, როდესაც შეატყო, რომ ის გზის გაგრძელებას აპირებდა, გააჩერა და მაისურის გაცვლა სთხოვა.

ამ დროს მსოფლიოს ჩემპიონთა გახარებული გულშემატკივარი ჩეხი, ჩეხის ყვირილით ეთხოვებოდა მოწინააღმდეგეს.

ტელეინტერვიუში დიდიე დეშამპმა მოკლედ და მკაფიოდ განაცხადა, სხვაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს, ერთადერთი მიზანი ჩემპიონობა არისო.

კი მაგრამ, მასპინძლობა და აწ უკვე ერთი მასპინძლი?

ვნახოთ, დღეს, 21 ივნისს ამსტერდამში ჰოლანდია — საფრანგეთია, D ჯგუფიდან მეოთხედფინალში უკვე გასული გუნდების შეხვედრა, რომელიც პირველი და მეორე ადგილების ამბავს გაარკვევს. თუმცა დიდ დასკვნებს ვერც ამ მატჩის მიხედვით გავაკეთებთ, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ჰოლანდია მეოთხედფინალს შინ, როტერდამში ჩაატარებს, ფრანგები კი, თუ წააგებენ, კარგად დაცდილ ბრიუგეში დაბრუნდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიდერლანდელებს მოუწევთ ბელგიაში თამაში, მსოფლიოს ჩემპიონებს კი ახალ გარემოსთან შეგუება.

ამას დაამატეთ ნახევარფინალი, რომელიც პირველ ვარიანტში (და, ცხადია, მეოთხედფინალში მოგების შემთხვევაში) ჰოლანდიას კვლავ სამშობლოში დატოვებს, საფრანგეთს კი ფრანგულენოვან ბრიუსელში ჩაიყვანს.

და თუ მათ აქაც იმარჯვეს, სტუმარ-მასპინძლობის ნამდვილი ამბავი 2 ივლისს „ფეიენოორდის“ სტადიონზე გაირკვევა, მაგრამ ძალიან შორს ხომ არ შევტოპეთ?

დე ვილდე პირსახოცი არ არის

ბელგიამ წაგო. სიმართლე რომ ითქვას, იტალიასთან მარცხი, ასე თუ ისე, მოსალოდნელი იყო, თურქებთან კი... რა მოხდა მერე, ვის არ წაუგია, იტყვის მავანი. ერთი კია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, ტურნირის მასპინძელი ჯგუფში ჩარჩენილიყო, ამიტომ, ბელგიას რომ ეს დაემართა, უკვე სენსაციაა.

რა მოუვიდა რობერ ვასეეის გუნდს? მას ხომ ჩემპიონობას არ სთხოვდნენ, მიზანი, სულ ცოტა, ნახევარფინალი გახლდათ. საკუთარი მოედნის ფაქტორიც ბევრს ნიშნავს... ამას მხურვალე გულშემატკივრობაც დაუმატეთ და მეტი რაღა გინდა, ითამაშე თანამასპინძლის საკადრისად.

ამბობდნენ, B ჯგუფი ყველაზე სუსტიაო. იტალიას და ბელგიას ფავორიტის მანტია თავიდანვე მოასხეს. შვედებს კარგი გუნდი კი ჰყავთ, მაგრამ ჯგუფიდან გასვლა გაუჭირდებათო, თურქეთს კი სათვალავშიც არ აგდებდნენ, ამათი ბოლო „გაფართხალება“. „გალათასარაის“ მიერ უეფას თასის მოგება იყო.

ნათქვამია, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ჰოდა, ახლა მუსტაფა დენიზლის ბიჭები ხარობენ, რობერ ვასეეის ბელგიელები კი თავჩაქინდრულები დადიან.

არადა, ევრო 2000-ის დაწყებამდე „წითელ ეშმაკებზე“ ბევრს ლაპარაკობდნენ. ჟორჟ ლიკენსის გუნდიდან წასვლის შემდეგ, რობერ ვასეემა ბელგიის ნაკრებს ახალი სული შთაბერა, ნაკრების ვეტერანებიც — ლორენცო სტალენსი და მარკ ვილმოტსიც ახალგაზრდული შემართებით ათამაშდნენო. ბელგიელ ქომაგსაც მოუბრუნდა გული ნაკრებზე, ზოგიერთნი კი 80-იანი წლების დასაწყისის გუნდსაც ადარებდნენ. ბელგიას შესარჩევი ციკლი არ გაუვლია, სამაგიეროდ, ამხანაგური მატჩები ბლომად ატარა. შედეგებიც კარგი ჰქონდა, მასსავით თანამასპინძელ ჰოლანდიასთან ორჯერ ფრე, 2:2 და 5:5, ლეჩეში იტალიასთან 3:1 მოგება და ოსლოში ნორვეგიელთა 2:0 ძლევა ნამდვილად არ იყო ურიგო სერია. ერთი სიტყვით, ბელგიელებს ყველა წინაპირობა ჰქონდათ დასახული მიზნის მისაღწევად. ნახევარფინალში თამაშიდან ჩემპიონობამდე კი სულ ახლოა... მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ამხანაგური მატჩი ერთია, ოფიციალური — სულ სხვა. როგორც ჩანს, ვასეეის გუნდი ამისთვის მზად არ აღმოჩნდა.

რატომ წაგო ბელგიამ თურქეთთან? თავდამსხმელთა უნიათობის, უამრავი საგოლე მომენტის გამოუყენებლობისა თუ მეკარე ფილიპ დე ვილდეს შეცდომის გამო? შესაძლოა, ყველაფერი ერთად იყოს, მაგრამ უპირველესი მიზეზი მაინც მეტოქის შეუფასებლობა გახლავთ.

„თურქები სათანადოდ ვერ შევაფასეთ, გვეგონა, მოვიგებდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“ — უთქვამს ნამატჩევს რობერ ვასეეს — თუმცა ვთვლი, რომ კარგი გუნდი გვყავს და მეოთხედფინალში გასვლას ვიმსახურებდით“.

ახლა თურქებზეც ვთქვათ. თუ ბელგიელთა ჯგუფში ჩარჩენა სენსაციაა, არანაკლები მოულოდნელობაა თურქეთის ეროვნული ნაკრების მეოთხედფინალში მოხვედრა.

ბელგია-თურქეთის მატჩამდე ერთი კი გავიფიქრე: 96-ში ინგლისში თურქებმა პირველად ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე, ყველა თამაში წააგეს და მეტოქეთა კარში ბურთიც ვერ გაიტანეს. ახლა იტალიასთან თურქები კი დამარცხდნენ, მაგრამ ოკან ბურუქმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი თურქული გოლი გაიტანა. მერე შვედებთან პირველი ქულა აიღეს. რაღა რჩებოდა — მოგება...

ისევ გუშინწინდელ მატჩს მივუბრუნდეთ. ბელგიელთა წაგებაში უპირველეს დამნაშავედ მეკარე ფილიპ დე ვილდე მიიჩნიეს. ანდერლეხტელმა, ესპანელი მეკარე მოლინას მსგავსად, დანაშაული კი აღიარა, მაგრამ ბელგიის ნაკრებისთვის ეს რა ნუგეშია: „ჩემს კარიერაში ეს ყველაზე შავი ტურნირია. სამ თამაშში ამდენი უხეში შეცდომა მეტისმეტია. თვითონაც ვერ მივმხვდარვარ, რა დამემართა. რაც შეეხება ჩემს გაძევებას, ავსტრიელი ბენკო სამართლიანად მოიქცა. ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, მანდობს კი რობერ ვასეეი ნაკრების კარის დაცვას? ვერაფერს გეტყვით, მაპატიეთ, არაფრის გახსენება არ მინდა“ — თქვა დე ვილდემ.

კომენტარი ვასეესაც სთხოვეს. „მართალია, დე ვილდეს შეცდომების გამო დავიისაჯეთ, მაგრამ ხელს მას ნუ შევაწმენდთ. უშეცდომო არავინაა, ხოლო ვინ იქნება ამიერიდან ნაკრების მეკარე, ამაზე ჯერ არ მიფიქრია“.

გიორგი ვაშაკიძე

ფილიპ დე ვილდემ სანაკრებო კარიერა საეჭვო გაიხადა

REUTERS ბრიუსელიდან

ორშაბათის შფოთიანი ღამე ბრიუსელის ქუჩებში

დიდთურქობა ბელგიაში

თურქი ახალგაზრდების ჯგუფმა ორშაბათს ღამით ბრიუსელის რამდენიმე ბარსა და რესტორანზე მიიტანა იერიში. მათ იქ ინგლისელები ეგულებოდათ — აი, ასე აღნიშნავდნენ ვაიფანები თურქეთის ნაკრების მეოთხედფინალში გასვლას.

ყველაფერი წყნარად დაიწყო. ბელგიასთან 2:0 მოგება თურქმა გულშემატკივრებმა ბრიუსელის ცენტრში ცეკვა-თამაშით აღნიშნეს. მაგრამ, ეტყობა, გული ვერ იჯერეს და მერე ისეთები მოხდა, პოლიციის გარეშე რომ აღარაფერი გამოვიდოდა.

„თურქებმა ორი პაბი დაარბიეს და შედეგად ქალაქის ცენტრში ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფი ერთმანეთს დაერია. თუმცა მალე სიტუაცია გავაკონტროლეთ. ცრემლსადენი გაზიც კი გამოვიყენეთ“ — განაცხადა ბრიუსელის პოლიციის წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ ინგლის-გერმანიის მატჩის შემდეგ მეორე ბელგიურ ქალაქში, შარლერუაში მოხდა დიდი არეულობა. შედეგად, ასობით ინგლისელი ფანი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. უეფა ინგლისელებს დაემუქრა კიდეც, თუ მსგავსი რამ განმეორდა, თქვენს ნაკრებს შეჯიბრებიდან მოვხსნითო.

ორშაბათს ღამით თურქები და ინგლისელები ბრიუსელის ცენტრში შეჯახებიან ერთმანეთს. თუმცა ოფიციალურად ამ ინფორმაციას ვერავინ ამტკიცებს. ის კი ცნობილია, რომ თურქებმა დაარბიეს რესტორანი „ო პო კარე“, სადაც ინგლისელები სხედან ხოლმე. თურქებმა ფანჯრები ჩაამსხვრიეს და რამდენიმე ადამიანი დააზიანეს. მათ ინგლისელების გამოწვევა სურდათ, მაგრამ ამ დროს იქ ბრიტანელთაგან არავინ ყოფილა.

დაახლოებით იმავე დროს, ახლომდებარე ბარში ინგლისელები და შვედები შეიკრიბნენ. მალე იქ ქუჩის ბრბომაც შეიხედა და დაიწყო... ფანჯრები ქვებისა და ბოთლების წვიმამ წალეკა, ბარში მყოფნი კი ტუალეტებსა და მოფარებულ ადგილებში დაიმალნენ. თურქთა „ზეიმმა“ ქალაქის სხვა უბნებიც მოიცვა. დაიმსხვრა რამდენიმე ავტომანქანა, ხოლო ერთ-ერთ მოედანზე ასამდე პოლიციელი ბოთლებით შეიარაღებული ახალგაზრდების წინააღმდეგ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი მოიშველიეს, ათამდე ფანატი კი დააკავეს.

სააგენტო „ბელგას“ ცნობით, ანტვერპენში ადგილობრივმა პოლიციამ ბელგიელ ფანებთანაც წაიჩხუბა. სენტიოსში კი, სადაც თურქთა დიდი დიასპორა ცხოვრობს, გამარჯვებას მთელი ღამე აღნიშნავდნენ. თვითმხილველთა თქმით, იქაურობა თურქულ ბაზარს დაემსგავსა — ასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდა, კარგა ხანს არ წყდებოდა ავტომანქანების ჭყვიტინი და დროშების ფრიალი.

რა უნდა კრუიფს ინგლისელებისგან?

ილია გაგუნაშვილი
ბრიუსელიდან

იოჰან კრუიფი

ინგლის-გერმანიის შეხვედრას ტელეკომპანია BBC-ს სტუდიიდან წარსულში ცნობილი ინგლისელი ფორვარდი, გარი ლინეკერი უძღვებოდა. იგი და მისი სტუმრები მატჩის დაწყებამდე, შესვენებისას და დამთავრების შემდეგ ერთვებოდნენ საქმეში, საკუთრივ თამაშს კი, ბუნებრივია, უშუალოდ შარლერუას სტადიონიდან უკეთებდნენ კომენტარს.

ფეხბურთის ასე მიმოხილვა ამ ინგლისური ტელეკომპანიისთვის ჩვეული საქმეა, თუმცა აქ BBC-ზე საუბარს არ ვაპირებთ. ქვემოთ ლინეკერის მთავარი სტუმრის, იოჰან კრუიფის იმდღევანდელი სამი მოსაზრება გვინდა გაგაცნოთ.

თამაშის დაწყებამდე წამყვანის კითხვაზე, რა აზრისაა ტრადიციულ ინგლისურ სქემაზე 4-4-2, კრუიფმა უპასუხა, რომ ეს განლაგება მას არუყვარს, რადგან იგი შეიცავს მცდარ აზრს, თითქოს ნახევარდაცვაში ოთხი მოთამაშის დასაქმება დაცვისთვის საქმის გაადვილებას ნიშნავდეს.

შესვენებისას ჰოლანდიელმა სასტიკად გააკრიტიკა ინგლისელები.

მისი აზრით, კიგანის გუნდში ერთმანეთს აბსოლუტურად არავინ აზღვევდა და ნებისმიერი ფეხბურთელის ნომინალური სამოქმედო ზონიდან გადაადგილება მის უკან თავისუფალი ზონის დატოვებას ნიშნავდა.

მატჩის დამთავრების შემდეგ კი ლინეკერის სტუმარმა ჯერ გერმანელებს დაუწუნა სიზუსტე, მოკლე პასების გადანოდების დროსაც ცდებოდნენო, ხოლო შემდეგ ისევ ბრიტანელებს გადაწვდა და განაცხადა, რომ მას მერე, რაც დაწინაურდნენ და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა, შეეტია, რის გამოც ზურგი მოიშიშვლა, მათ გაცილებით მეტი საგოლე მომენტის შექმნა მართებდათ.

ბოლოს კრუიფმა სიტყვა ილბალიც კი ახსენა, რაც გადაცემის მეორე სტუმარმა, „სელტიკის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, მარტინ ონილმა ველარ მოითმინა და მიუგო, ილბალი ნებისმიერ გამარჯვებულს სჭირდებაო, ხოლო წამყვანმა დასძინა, ინგლისელებსაც კიო.

თუგაი ნაკრებიდან გააგდეს

თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ ნახევარმცველი თუგაი ქერიმოღლუ გუნდიდან მოკვეთა და შინ გაუშვა. გლაზგოს „რეინჯერსის“ ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იგი ბელგიასთან შეხვედრაში შეცვალეს. ფეხბურთელმა გაბედა და მთავარ მწვრთნელს უკმეხად უპასუხა. ცოტა ხანში თუგაი, რომელსაც თურქეთის ნაკრებში 60 შეხვედრა ჩაუტარებია, გონს მოეგო და თავკაცს ბოდიში მოუხადა, მაგრამ დენიზლიმ შეუვალობა გამოიჩინა და ფეხბურთელს საქციელი არ აპატია.

„გადაწყვეტილებებს ყოველთვის მწვრთნელი იღებს, თუგაიმ გუნდი დატოვა, იგი სასტუმროდან ცოტა ხნის წინ გაემგზავრა — განუცხადა თურქეთის ფეხბურთის ასოციაციის პრესატაშემ ჟურნალისტებს და დასძინა — ფეხბურთელი მწვრთნელს ერთობ უპატივცემულოდ მოექცა.“

„სარბიელის“ სიმბოლური ნაკრები მე-2 ტურის შემდეგ



ილია ბაბუნაშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ფაბიო კანავარო, იენს იერემისი, დევიდ ბექემი, ვლადიმირ იუგოვიჩი, გაისკა მენდიეტა, იური ჯორკაეფი, დრაგან სტოიკოვიჩი, ტიერი ანრი, რაული

სოლომონ ეყლილაშვილი

ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, სოლ კემპბელი, ვენსან კანდელა, დრაგან სტოიკოვიჩი, გაისკა მენდიეტა, ბუდევინ ზენდენი, ზინედინ ზიდანი, ალან შირერი, ტიერი ანრი

ეიფორი დაბაჯანია

ფრანჩესკო ტოლდო, პაოლო მალდინი, სოლ კემპბელი, ლილიან ტურამი, ალესანდრო ნესტა, ზინედინ ზიდანი, გაისკა მენდიეტა, დრაგან სტოიკოვიჩი, კარელ პობორსკი, ტიერი ანრი, რაული

ეიფორი ვაშაყიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, სოლ კემპბელი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, დევიდ ბექემი, გაისკა მენდიეტა, ბუდევინ ზენდენი, ზინედინ ზიდანი, ალან შირერი, ტიერი ანრი

კახა თალაკვაძე

ფრანჩესკო ტოლდო, პაოლო მალდინი, სოლ კემპბელი, მარსელ დესაი, ვენსან კანდელა, ბუდევინ ზენდენი, კარელ პობორსკი, ვლადიმირ იუგოვიჩი, ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი, რაული

მაამყა ყვანცალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, პაოლო მალდინი, სოლ კემპბელი, მარსელ დესაი, ლილიან ტურამი, ტიერი ანრი, ზინედინ ზიდანი, ვლადიმირ იუგოვიჩი, დევიდ ბექემი, რაული, სავო მილოშევიჩი,

პაატა ყვანცალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, სოლ კემპბელი, მარსელ დესაი, ფერნანდო კოუტუ, ვლადიმერ იუგოვიჩი, ერიკ მიუკლანდი, გაისკა მენდიეტა, დრაგან სტოიკოვიჩი, ტიერი ანრი, ალან შირერი

ნიკო კოტორაშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, სოლ კემპბელი, პაოლო მალდინი, დევიდ ბექემი, დენის ბერხკამპი, ედგარ დავიდსი, დრაგან სტოიკოვიჩი, ტიერი ანრი, რაული

კოტა ინანაშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, ამირ კარიჩი, ალესანდრო ნესტა, ვენსან კანდელა, ფაბიო კანავარო, რაული, იენს იერემისი, ვლადიმირ იუგოვიჩი, სტეფანო ფიორე, ალან შირერი, ტიერი ანრი

ვანო ოქროპირიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, სოლ კემპბელი, პატრიკ ვიეირა, ფერნანდუ კოუტუ, გაისკა მენდიეტა, დრაგან სტოიკოვიჩი, ზინედინ ზიდანი, ბუდევეინ ზენდენი, ალან შირერი, რაული

მერაბ მაციაშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ფერნანდუ კოუტუ, ფრანკ დე ბური, პაოლო მალდინი, ერიკ მიუკლანდი, დრაგან სტოიკოვიჩი, სტეფანო ფიორე, ვლადიმერ იუგოვიჩი, ტიერი ანრი, ალან შირერი

თენგიზ ფოფხაძე

ფრანჩესკო ტოლდო, მიხაელ რაიციგერი, მირსლავ ჯუკიჩი, სოლ კემპბელი, პაოლო მალდინი, კარელ პობორსკი, დრაგან სტოიკოვიჩი, ედგარ დავიდსი, ბუდევინ ზენდენი, რაული, სავო მილოშევიჩი

კოტე იაშვილი

ფაბიენ ბარტეზი, ლილიან ტურამი, ფრენკ დე ბური, ლორან ბლანი, პაოლო მალდინი, ფიგუ, ედგარ დავიდსი, პაველ ნედვედი, ბექემი, ზინედინ ზიდანი, ალან შირერი

იაშა ყაციცაძე

ფაბიენ ბარტეზი, სლობოდან კომლიენოვიჩი, სოლ კემპბელი, ლილიან ტურამი, ვენსან კანდელა, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, სავო მილოშევიჩი, რაული, ზლატკო ზაჰოვიჩი, ტიერი ანრი

ეკაბა ხელაშვილი

ოლივერ კანი, პაოლო მალდინი, სოლ კემპბელი, ლილიან ტურამი, მარკუს ბაბელი, ბუდევინ ზენდენი, სებასტიან დაისლერი, რაული, კარელ პობორსკი, ვლადიმირ იუგოვიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი

C ჯგუფი. III ტური. 21 ივნისი. 21⁰⁰

იუგოსლავია — ესპანეთი

ბრიუგე. „ჟან ბრეიდელი“. მსაჯი: ჟილ ვეესე (საფრანგეთი)

გუშინ და ხვალ — მეგობრები, დღეს — მტრები

ესპანელებს ხოსეპ გვარდიოლას და რაულს მოგება სჭირდებათ

ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელები ჯგუფში ჩარჩნენ და დღესაც ბგივე საფრთხე ელით. არადა, ყველაფერი რა კარგად იწყებოდა — ახალი მწვრთნელი, ბრწყინვალედ ჩამთავრებული შესარჩევი ციკლი, ყველა საბუქმეიქერო კანტორის ვერსიით, ერთ-ერთ ფავორიტად ყოფნა. და რა მოხდა? ხოსე ფრანსისკო მოლინას ერთმა უხეშმა შეცდომამ ისინი კუთხეში მიიმწყვდია, თუმცა სამართლიანობისთვის, ატლეტიკოელი მეკარის გარდა სხვა ფეხბურთელების არცთუ შთამბეჭდავი თამაშიც უნდა აღვნიშნოთ.

დღეს ესპანეთს დიდი გამოცდა ელის, მან უცილობლად უნდა მოიგოს, რათა დაამტკიცოს, რომ ნორვეგიასთან მარცხი შემთხვევითობა იყო. შეძლებს? არსებობს ისეთი ვარიანტიც, რომლითაც ესპანელები ფრესაც გაჰყავს მეოთხედფინალში, მაგრამ სლოვენია ნორვეგიას დაამარცხებსო, ამის იმედად ყოფნა ძალიან ძნელია და თავმოყვარე გუნდს არც ეკადრება. ალბათ, სწორედ თავმოყვარეობა ათქმევინებს რაულს: „იუგოსლავიასთან მძიმე მატჩი გველის, მაგრამ გპირდებით, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ“.

ესპანელთა სასტარტო შემადგენლობამ კი, წინა თამაშთან შედარებით, ერთი ცვლილება განიცადა. ნორვეგიასთან მატჩში კამაჩომ მინდორზე სამი ბასკი გაიყვანა — ისმაელ ურსაისი, ხოსება ეჩებერია და აუგუსტინ არანსაბალი. მეორე ტურში მათ ურსაისი გამოაკლდათ, ახლა კი — არანსაბალიც. მის ნაცვლად ბარსელონელი სერხი ითამაშებს.

იუგოსლავიელებთან მთავარი სიახლე სინიშა მიხაილოვიჩის დაბრუნებაა. ლაციოელმა მცველმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის ვადა მოიხადა და ნაკრების მეოთხედფინალში გასაყვანად თავის დადებას აპირებს. მიხაილოვიჩმა სასტარტო შემადგენლობიდან ნიშა საველიჩი ამოაგდო.

აქვე ერთი საინტერესო ფაქტიც ვახსენოთ. მატჩის წინ, როცა ჰიმნები შესრულდება და ფეხბურთელები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ, რამდენიმე წყვილი მეტად გულითადად მესალმება ერთმანეთს — ისინი ხომ თანაგუნდელები არიან და მერე რა, რომ დღეს მეტოქეებად მოიყარნენ.

ვალენსიელ მიროსლავ ჯუკიჩს სანტიაგო კანისარესის და გაისკა მენდიეტას ნახვა გაუხარდება, ხოლო სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ხერარდს, ალბათ, შესვენებაზე მიესალმება. სელტელი გორან ჯოროვიჩი ხუან ველასკოს ნახვით გაიხარებს. ფრანი და სლავიშა იოკანოვიჩი ესპანეთის ჩემპიონად გახდომის ამბავს გაიხსენებენ. სავო მილოშევიჩი პაკო ხემესს გამოჰკითხავს სარაგოსის ამბებს. მალიორკელი იოვან სტანკოვიჩი და ვისენტე ენგონგა მინდორზე არ გავლენ, მაგრამ სათადარიგოთა სკამებიდან ერთი-ორ სიტყვას გადასძახებენ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, თვალს მაინც ჩაუკრავენ. ოვიედოელ ალბერტ ნადს ესპანეთის ნაკრებში თანაგუნდელი არავინ ჰყავს, მაგრამ რამდენიმე კარგ ნაცნობს როგორმე აღმოაჩენს. აი, იუგოსლავიელთა სათადარიგო მეკარე ჟელკო კიკოვიჩი რაულის (და სხვებისაც) დარტყმებს დააკვირდება — მომავალი სეზონიდან მათი მოგერიება თავადაც მოუხდება, მისი „ლას პალმასი“ ხომ პრიმერა დივიზიონში გადავიდა. ყველაზე მეტად კი ერთმანეთის ნახვა რეალელებს გაუხარდებათ. მიჩელ სალგადოს, ფერნანდო იეროს, რაულს და მაშინ პატარა იკერ კასილიასს კარგად ახსოვთ ყოფილი თანაგუნდელის, პრედრაგ მიატოვიჩის გოლი, რომელმაც მათ 1998 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

მაგრამ მეგობრობა მეგობრობად და დღეს არავინ არაფრის დათმობას არ აპირებს. ვუიადინ ბოშკოვმა თავის ფეხბურთელებს უთხრა, თუ მოგება არ გვსურს, სჯობს სასტუმროში დავრჩეთ, თავს ტყუილად ნუ შევიწუხებთო. დარჩენის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

სავარაუდო შემადგენლობები

იუგოსლავია: ივიცა კრალი; სლობოდან კომლიენოვიჩი, მიროსლავ ჯუკიჩი, სინიშა მიხაილოვიჩი, გორან ჯოროვიჩი; სლავიშა იოკანოვიჩი, ვლადიმირ იუგოვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი, ლუბინკო დრულოვიჩი; პრედრაგ მიატოვიჩი, სავო მილოშევიჩი

ესპანეთი: სანტიაგო კანისარესი; მიჩელ სალგადო, ფერნანდო იერო, ბელარდო ფერნანდესი, სერხი ბარხუანი; ხოსება ეჩებერია, ხოსეპ გვარდიოლა, გაისკა მენდიეტა, ხუან კარლოს ვალერონი; რაულ გონსალესი, ალფონსო პერესი

დისკვალიფიცირებულნი

ერთმანეთის მეზობლები		
იუგოსლავია	**18**	**ესპანეთი**
5	მოგება	8
5	ფრე	5
8	წაგება	5
15	ბურთები	19

C ჯგუფი. III ტური. 21 ივნისი. 21⁰⁰

სლოვენია — ნორვეგია

არნემი. „ფელრედომი“. მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

რა ასწავლა ბოშკოვმა კატანეცს



ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს გოლის გატანა მოენატრა

სხვათაგან განსხვავებით, C ჯგუფში აბსოლუტურად არაფერი გარკვეულა. მეტიც, მეოთხედფინალში გასვლის შანსს იქ თავმოყრილი ოთხივე გუნდი ინარჩუნებს. აქედან გამომდინარე, უშედავათო ბრძოლებს უნდა ველოდოთ.

ნორვეგია — სლოვენიის წყვილში ცნობილი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ჯგუფიდან გასვლას ორივე ერთდროულად ვერ შეძლებს, თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ეს პატივი იუგოსლავიასა და ესპანეთს ერგოთ. ამისათვის სლოვენიამ მეტოქე უნდა დაამარცხოს, ხოლო მეორე წყვილის შეხვედრა ფრედ დასრულდეს. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს, რომ სრეჩკო კატანეცის გუნდს მოგების შემთხვევაშიც გარანტირებული არაფერი აქვს. ნორვეგიელთა საქმე კი უკეთაა — რვა საუკეთესოს შორის მოსახვედრად მათ ფრეც ჰყოფნით (თუ იუგოსლავიამ ესპანეთს მოუგო), ხოლო თუ გაიმარჯვეს, მათი ბედი არავისზე იქნება დამოკიდებული.

იმ შემადგენლობით, რომლითაც სლოვენიელები დღეს აპირებენ მინდორზე გასვლას, მათ წინა ტურში 14 წუთი ითამაშეს. განვმარტოთ. ესპანეთთან შეხვედრაში 68-ე წუთზე ალექსანდრ კნავსმა დარკო მილანიჩი შეცვალა, ხოლო დღეს სასტარტო შემადგენლობაში გამოვა. 82-ე წუთზე კი მილენკო აჩიმოვიჩმა მირან პავლინის ადგილი დაიკავა. ნორვეგიასთან კვლავ პავლინის გამოჩენას უნდა ველოდოთ. ასე რომ, კვირას 68-ედან 82-ე წუთამდე მოთამაშე თერთმეტივე სლოვენიელი დღეს დიდი სენსაციის მოსახდენად — ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლებს.

რამდენიმე ცვლილებაა ნორვეგიის ნაკრებში. იუგოსლავიასთან ვეგარდ ჰეგემი სტიგ ინგე ბიორნბიუმ შეცვალა და ეტყობა, მწვრთნელს თავიც მოაწონა — ის დღეს სასტარტოშია. ივივეს ვერ ვიტყვით როარ სტრანდზე. რუსენბორგელმა წინა მატჩში ერიკ ბაკეს ნაცვლად 14 წუთი ითამაშა და ახლა კვლავ სათადარიგოთა სკამზე იქნება. აი, გავალენსიელებული იონ კარეუ, როგორც ჩანს, მხოლოდ შეცვლებზე ითამაშეს. პირველ ტურში მან ტორე ანდრე ფლო შეცვალა, ხოლო მეორეში — სტეფან ივერსენი. ვის შეცვლის ის დღეს (ეგებ, არავისაც), ალბათ, ჯერ ჯერობით ბოლოს ეტყობა.

ნორვეგიელთა რიგებში ერთი ფეხბურთელია, ვისაც არაფერი აწუხებს, მაგრამ თავის პირდაპირ მოვალეობას, გოლების გატანას, ოქტომბრის მერე ვერ ახერხებს. „ჩელსის“ ტანმაღალ თავდამსხმელ ფლოზე მოგასხენებთ. ფლო ამბობს: „თავს ჩინებულად ვგრძნობ და ვფიქრობ, სლოვენიასთან შეხვედრაში გუნდს გამოვადგები. იმას ვგულისხმობ, რომ გოლი კარგა ხანია, არ გამიტანია და ვეცდები, ამჯერად გავიტანო. საერთოდ კი დაძაბულ, საინტერესო თამაშს ველი. სლოვენია ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ არის, წინა მატჩებმაც დაადასტურა. თუმც ჩვენ გამარჯვების მეტი შანსი გვაქვს — ესეც უეჭველია“.

სრეჩკო კატანეცი კი თავის ძველ დამრიგებელს, ახლა კი კოლეგასა და კონკურენტს ვუიადინ ბოშკოვს არ ივიწყებს და მადლობას უხდის: „იუგოსლავიელებმა დაგვანახეს, რომ ნორვეგიელთა დამარცხება შესაძლებელია და ამის გაკეთების ხერხებიც გვასწავლეს“.

კარგი თამაში უნდა იყოს: აქეთ გოლმონატრებული ფლო და ნორვეგიის ნაკრები, იქით ბოშკოვის იდეებით ნასაზრდოები კატანეცის სლოვენია.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

სლოვენია: მლადენ დაბანოვიჩი; ჟელკო მილინოვიჩი, მარინკო გალიჩი, ალექსანდრ კნავსი; ჯონი ნოვაკი, ალეშ ჩეჩი, მირან პავლინი, მლადენ რუდონია, ამირ კარიჩი; ზლატკო ზაპოვიჩი, საშო უდოვიჩი

ნორვეგია: ტომას მირე; სტიგ ინგე ბიორნბიუ, ბიორნ ოტო ბრაგსტადი, დან ეგენი, ანდრე ბერგდოლმო; ერიკ მიუკლანდი, ბენტ სკამელსრუდი, ერიკ ბაკე; სტეფან ივერსენი, ოლე გუნარ სოლსკიაერი, ტორე ანდრე ფლო

დისკვალიფიცირებულნი

სლოვენია: დარკო მილანიჩი (1 მატჩი)

ურთიერთშეხვედრები		
სლოვენია	**2**	**ნორვეგია**
0	მოგება	2
0	ფრე	0
2	წაგება	0
1	ბურთები	6

კუნთნატჯანი და გულნატკენი

B ჯგუფში ბელგიისა და თურქეთის ნაკრებების შეხვედრაში ერთი უცნაური ფაქტი მოხდა. ასეთ ამბავს იშვიათად თუ შეეხვრება ვინმე. მატჩის მთავარმა არბიტრმა დანიელმა კომ მილტონ ნილსენმა ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მოედანი ნაადრევად დაეტოვებინა. როგორც გამოირკვა, არბიტრს კუნთი დაუზიანებია.

„მატჩის დროს უკვე მეორედ დავშავდი — განაცხადა ტრავმირებულმა მსაჯმა — ვწუხვარ, ტურნირის დატოვება მომიწევს. ყველაფერი ცუდ დროს მოხდა, როცა მეოთხედფინალები უნდა დაწყებულიყო.“

ნილსენი ტურნირის ფინალური მატჩის მსაჯობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, მაგრამ მას აშკარად არ გაუმართლა. დაშავებული არბიტრი შეხვედრის დროს სარეზერვო მსაჯმა, გიუნტერ ბენკომ შეცვალა. ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობა ოთხშაბათს იუგოსლავია — ესპანეთის მატჩში უნდა შეესრულებინა, თუმცა ახლა ვეღარ მოახერხებს. ხსენებულ მატჩში მის ნაცვლად ფრანგი ჟილ ვესეე იმსაჯებს.

შმაიხელი არ მიდის

პიტერ შმაიხელმა ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის ორ მატჩში ექვსი ბურთი გაუშვა. თუმცა ვერავინ იტყვის, დანიელთა უსუსური თამაში მათი კაპიტნის ბრალიაო.

ექვსმა გოლმა და შმაიხელის ასაკმა (36 წელი) ხმებიც გაავრცელა, ევროპის ჩემპიონატს ჩაამთავრებს და ნაკრებიდან წავალ. ჟურნალისტები დანიელს უმალ მიაწყდნენ და კომენტარი სთხოვეს. „ნაკრებიდან წასვლა? ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია — ამბობს შმაიხელი — ფეხბურთის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და სანამ ფორმაში ვარ, კარს არ მივატოვებ“.

სტატისტიკოსებს ერთი საკითხიც აინტერესებთ. შეძლებს შმაიხელი ლოთარ მათეუსის რეკორდის დამხობას? მას 124 სანაკრებო შეხვედრა გაუმართავს.

ბელგრადელი პარტიზანი: შევიდა, დასცა, გამოვიდა

რუმინელ გეორგე ჰაჯის ინგლისის წინააღმდეგ გუშინ არ უთამაშია, სლოვენიელი დარკო მილანიჩი ნორვეგიასთან გამოტოვებს მატჩს, ჰოლანდიელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი კი ფრანგებთან. მიზეზი წინა ტურებში მიღებული გაფრთხილებებია. აი, იუგოსლავიელი მატეა კეჟმანის საქმე კი უეფას სადისციპლინო კომისიის საგანგებო მსჯელობის საგანი გამხდარა. მართლაც უჩვეულო შემთხვევაა, ფეხბურთელმა თამაშში შესვლიდან 44 წამში წითელი ბარათი დაიმსახურა. რეკორდიც ამას ჰქვია, თუმცა საეჭვოა, ბელგრადელი პარტიზანი ამას გაეხარებინა.

უეფასეული გადაწყვეტილება კი ასეთია — მატეა კეჟმანს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ერთი გამოტოვებული თამაში მისთვის დღევანდელი იქნება — ესპანეთთან, მეორე კი... ეს ჯერ არავინ უწყის. თუ იუგოსლავია მეოთხედფინალში ვერ გავა, კეჟმანს კარგა ხანს — მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე მოუხდება ლოდინი.

უეფა მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას 6 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დააკისრა, ფეხბურთელები კარგად ვერ აღგიზრდიათო.

ბარემ სლოვენიელთა ამბავიც ვთქვათ. სრეჩკო კატანეცს წინა ტურში არბიტრისთვის ერთი-ორი „ტკბილი“ სიტყვა უთქვამს, რამაც უეფას ყურამდეც მიაღწია, მაგრამ მწვრთნელს რა ენაღვლება — რვაათასიანი ჯარიმა სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციის გადასახდელია.

D ჯგუფი. III ტური. 21 ივნისი. 23⁴⁵

საფრანგეთი — ჰოლანდია

ამსტერდამი. „არენა“. მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

უინტრიგო და გაურკვეველი

ჰოლანდიელები მარკ ოვემარსი (მარცხნივ) და პატრიკ კლუივერტი ვარჯისისას ბალღებივით ლაღობენ

სიკვდილისად წოდებულ D ჯგუფში გამსვლელ-წამსვლელთა ვინაობა ადრევე გაირკვა. რაღა დარჩა? ადგილების საბოლოო გადანაწილება, რაც ბევრს არაფერს წყვეტს.

მიუხედავად ასეთი სიცხადისა, ჰოლანდიელთა წინააღმდეგ მოთამაშე თერთმეტი ფრანგის ვინაობა მაინც ეჭვს ბადებს. ქვემოთ მოყვანილ სავარაუდო სასტარტო შემადგენლობებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ფრანგები ბრძოლისთვის ემზადებიან. წინა მატჩთან შედარებით იქ ორი ცვლილებაა — ნიკოლა ანელკას დევიდ ტრეზეგე შეცვლის, ხოლო ემანუელ პეტის ნაცვლად იური ჯორკაეფი გავა (ჯორკაეფმა არსენალელი ჩეხებთან შეხვედრაშიც შეცვალა მეორე ტაიმში). დამეთანხმებით, ორივე ეს ცვლილება გუნდის გაძლიერებისკენ არის მიმართული. ამ დროს კი...

როჟე ლემერი ამბობს: „ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვთქვი, რომ მსურდა, ოცდაორივე ფეხბურთელისთვის მიმეცა თამაშის საშუალება. აზრი არ შემიცვლია.“

მწვრთნელს ლორან ბლანიც ეთანხმება: „არაერთხელ მითქვამს, რომ უტრინიტარ თამაშებში მონაწილეობა არ მსურს. ჯობს, დავისვენო და რომელიმე ჩემს მეგობარს მივცე თავის გამოჩენის საშუალება. აი ჰოლანდიელებს მეორედ რომ შევხვდებით — 2 ივლისს, ფინალში — მაშინ სხვა საქმეა.“

ზემოთ მოყვანილ გამონათქვამებს ფრანგთა ბანაკიდან გამოსული ხმებიც დაემატა — ლემერი ფაბიენ ბარტეზს და მარსელ დესაის დატოვებს, დანარჩენ ცხრა მოთამაშეს კი სათადარიგოებიდან შეარჩევსო. იმავე წყაროს მტკიცებით, დღეს მინდორზე ფრანკ ლებეფის, კრისტოფ დიუგარის და სილვენ ვილმოტსის გამოჩენას უნდა ველტორდს. ერთი სიტყვით, სრული გაურკვევლობაა და ზუსტ პასუხს მატჩის დაწყების წინ თუ შევიტყობთ. მთელ ამ ისტორიაში სრული სიმართლე ნიკოლა ანელკას, ემანუელ პეტის და ბიქსენტ ლიზარაზუს მცირედი ტრავმებია.

ჰოლანდიელთა ამბავი კი ნაკლებ ეჭვს ბადებს. მათი გამოქვეყნებული სავარაუდო შემადგენლობა ზუსტი უნდა იყოს.

წინა მატჩში ბოლო წუთზე დაშავებული ედვინ ვან დერ სარი დროულად ვერ მომჯობინდა და მას ლივერპულელი სანდერ ვესტერველდი შეცვლის. იაპ სტამის მოუშუშებელმა ტრავმამ ბერტ კონტერმანს ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში დაუჯავშნა ადგილი. ხოლო მარკ ოვერმარსის მტკივანმა ფეხმა ეგებ რონალდ დე ბურს მისცეს მატჩის სრულად ჩატარების შესაძლებლობა. საქმე ის გახლავთ, რომ ფრანკ რაიკარდმა დანიასთან მატჩის წინაც ტუპისცალი სასტარტო შემადგენლობაში დაასახელა, მაგრამ ბოლო წუთს აზრი შეიცვალა. ჰოლანდიელთა შორის დღეს პირველად უნდა ვიხილოთ გლაზგოელი არტურ ნუმანი, რომელიც თანაგუნდელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ადგილს დაიკავებს.

მართალია, სავარაუდო შემადგენლობაში არონ ვინტერის გვარს ვერ წააწყდებით, მაგრამ მისი მოხსენება აუცილებელია. ჰოლანდიის ნაკრებში გამართული თამაშების რაოდენობით რეკორდსმენი ლეგენდარული რუუდ კროლია. მას ნარინჯისფერი მაისურა 83-ჯერ მოურგია. ბოლოს მან 1983 წელს ითამაშა. მას მერე 17 წელი გასულა და კროლის რეკორდს ვერავინ შესწვდა. დღეს ამის შანსი ვინტერს აქვს. მისი სანაკრებო მატჩების რაოდენობა 82-ს ითვლის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფრანკ რაიკარდი და არონ ვინტერი ძველი თანაგუნდელები არიან და ვინტერი დღევანდელ ნაკრებში ერთადერთ ფეხბურთელად რჩება, ვისაც 1988 წელს ევროპის ჩემპიონობა მოუპოვებია.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

საფრანგეთი: ფაბიენ ბარტეზი; ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, ლორან ბლანი, ვენსან კანდელა; დიდიე დეშამი, პატრიკ ვიეირა, იური ჯორკაეფი, ზინედინ ზიდანი; დავიდ ტრეზეგე, თიერი ანრი

ჰოლანდია: სანდერ ვესტერველდი; მიხაელ რაიციგერი, ბერტ კონტერმანი, ფრანკ დე ბური, არტურ ნუმანი; რონალდ დე ბური, ფილიპ კოკუ, ბუდვინ ზენდენი, ედგარ დავიდსი; დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი

ურთიერთშეხვედრები

საფრანგეთი 19		ჰოლანდია
8	მოგება	8
3	ფრე	3
8	წაგება	8
32	ბურთები	44

ლემერის მამა დამარხა

მეორე წრეში საფრანგეთი-დანიის მატჩის დასრულებისთანავე როჟე ლემერი მანქანაში ჩაჯდა და შერბურისკენ გაემართა, სადაც მამამისი, 87 წლის მორის ლემერი სიკვდილს ებრძოდა.

დაგვიანა. უფროსი ლემერი სასწრაფოდ კაენის საავადმყოფოში გადაეყვანათ. იქ ჩასულ ლემერს მამა გარდაცვლილი დახვდა.

მორის ლემერი მანშის დეპარტამენტის პატარა ქალაქ ბოლბეკში გადაასვენეს — ლემერების ოჯახი წარმოშობით იქიდანაა. მამა ლემერის კრემაცია გუშინ შედგა, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ამ სამწუხარო რიტუალს ვერ დაესწრო, მას დაუყოვნებლივ ჟუენვილში, ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნება მოუხდა — გუნდი ჰოლანდიასთან მატჩისთვის უნდა მოემზადებინა. ცხადია, როჟე ლემერს არც დაბადების დღის აღნიშვნის ხალისი ექნებოდა — 18 ივნისს ის 59 წლისა გახდა.

ვენგერი შეგირდებით ამაყობს

„დღეს ფრანგებს უკეთესი გუნდი ჰყავთ, ვიდრე ორი წლის წინ — აცხადებს არსენ ვენგერი და კოლეგებსაც იმოწმებს — ბერტი ფოგთსს და როი ჰოჯსონს ვესაუბრე და ისინიც ასევე ფიქრობენ“.

არსენალელი განსაკუთრებით თავისი შეგირდების — თიერი ანრის, ემანუელ პეტის და პატრიკ ვიეირას თამაშით არის კმაყოფილი. იმასაც ამბობს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებს ასეთი კარგი შეტევის ხაზი არ ჰყოლიაო. და განა მხოლოდ ანრია ძლიერი, სილვენ ვილტორდი და დავიდ ტრეზეგე აქ სხედან სათადარიგოთა სკამზე, თორემ ნებისმიერ სხვა გუნდში შეუცვლელნი იქნებოდნენო.

არსენ ვენგერი ფეხბურთელთა ადრეულ ასაკში გავარსკვლავებაზეც საუბრობს: „ადრე ასე იყო, ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში 24-25 წლისანი შედიოდნენ. ახლა კი რა ხდება? ანელკა 21 წლისაა, ანრი — 22-ის. ვფიქრობ, უაღრესად ნიჭიერი თაობა გვეზრდება“.

ადრე გეფიქრა, პატრიკ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩეხეთს ცხრა მოგება ჰქონდა, ჯგუფში პირველი ადგილი გაენაღდებინა და ბოლო მატჩში ფარერის კუნძულელებს ხვდებოდა. დღემდე გამოცანად რჩება, რა რჯიდა პატრიკ ბერგერს მსაჯს წითელი ბარათი რომ „გამოსტყუა“. იმ უაზრო გაძევებით მიყენებულ ზარალს ჩეხები დღეს იმკიან — იოჟეფ ხოვანეცმა საფრანგეთთან და ჰოლანდიასთან გუნდი დისკვალიფიცირებული ბერგერის გარეშე გაიყვანა, არადა, ლივერპულელი გუნდს ძალიან გამოადგებოდა.

პატრიკ ბერგერი დღეს დანიელთა წინააღმდეგ ითამაშებს. ეს შეხვედრა უკვე აღარაფერს წყვეტს, მაგრამ... „ცხადია, მეოთხე ადგილს მესამე სჯობს. მართალია, ჯგუფიდან ველარ გავალთ, მაგრამ საკუთარი და ჩეხი ქომაგების სიამოვნებისთვის მაინც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. პირადად მე კი მინდორზე გასვლა და ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვა მომენატრა...

რას იზამ, ფეხბურთი ასეთი თამაშია. არადა, ახლა უკეთესი გუნდი გვყავს, ვიდრე ოთხი წლის წინ — არასდროს იცი, რა მოხდება“.

D ჯგუფი. III ტური. 21 ივნისი. 23⁴⁵

დანია — ჩეხეთი

ლიეჟი. „შლესენი“. მსაჯი: ჯამალ განდური (ეგვიპტე)



ჩეხმა ვლადიმირ შმიცერმა მატჩის წინ ინტერვიუსთვისაც მოიცალა

ღირსების საქმეა

ჩეხთა და დანიელთა საქმე ასეა: წაგებენ — გავარდნილები არიან, მოიგებენ — მაინც გავარდნილები. მოკლედ, ისეა, როგორც იგავში, კატას ორივე შემთხვევაში თავს რომ ჭრიან. მაგრამ არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც დანიისა და ჩეხეთის ნაკრებები დღეს მინდორზე გავლენ და ერთმანეთს შეებრძოლებიან. ერთი ის, რომ ოქმში შეხვედრის შედეგი უნდა ჩაიწეროს თან ხალხს ბილეთებში ფული გადაუხდია. მეორე მიზეზი კი ეროვნული ღირსების გრძნობაა, რაც ზოგს ეგებ არა, მაგრამ ჩეხებს და დანიელებს ნამდვილად აქვთ.

ზემოთქმულის დასტურად გუნდების სავარაუდო შემადგენლობის გაცნობაც გამოდგება. ჩეხებთან ერთადერთი ცვლილებაა, სასჯელმოხდილი პატრიკ ბერგერი ტომაშ როსიცკის შეცვლის და ნაკრები უფრო მეტად გაძლიერდება. არადა, იოჟეფ ხოვანეცს შეეძლო, სათადარიგოთათვის თამაშის საშუალება მიეცა — არ ინდომა, ბრძოლა არჩია.

იგივე ითქმის დანიელებზეც. ჩვეული შემადგენლობიდან ბო იოჰანსონს მხოლოდ სორენ კოლდინგი და მორტენ ბისგაარდი არ ეყოლება. მათ იტალიური დუეტი —მილანელი თომას ჰელვეგი და უდინეზელი მარტინ იორგენსენი შეცვლის. აღსანიშნავია, რომ სხვებთან ერთად მინდორზე ტურის ანტიგმირებიც გავლენ — პეტერ გაბრიელი და მიქაელ შონბერგი: შეგახსენებთ, ერთის სინდისზე ჩეხთა კარში გაშვებული გოლია, როცა მან მეკარე სრნიჩეკისთვის განკუთვნილი პასი ტიერი ანრის ჩააბარა, ხოლო მეორემ ჰოლანდიელთა კარს პენალტი ააცილა.

მაგრამ დღეს ეს ყველაფერი უმნიშვნელოა, ისევე როგორც პირველ ტურში ჩეხთა კარში მეტად საეჭვო გოლი. შეცვლა აღარაფრისა შეიძლება და გუნდებს, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ ღირსების შენარჩუნებისთვის უხდებათ ბრძოლა. თუმცა ეს უფრო დანიას ეხება, ვისმა ცუდად თამაშმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღეს რას იზამენ? შეძლებენ, ევროპის ჩემპიონატზე თუნდაც ერთი ბურთის შეგდებას? თუ ტურნირს ისე ჩაამთავრებენ, როგორც ეს თურქეთმა გააკეთა ევრო 96-ზე — სამი წაგება, არც ერთი გოლი? დანიელებს მოსაგებად ერთი მიზეზიც აქვთ — ბო იოჰანსონი ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ ნაკრებს ეშვიდობება. როგორ გაცილებას მოუწყობენ შეგირდები? როგორც ვხედავთ, კითხვები საკმაოდ ბევრია.

ჩეხთა საქმე კი უკეთაა. მათ უკვე მოიპოვეს ევრო 2000-ის მსაჯთაგან ყველაზე დაჩაგრული გუნდის სახელი და შესაბამისად გულშემატკივართა სიმპათიაც.

დაბოლოს, საინტერესო სტატისტიკური ცნობაც. ჩეხეთის და დანიის ნაკრებები აქამდე თხუთმეტჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და დანიას ერთხელაც ვერ მოუგია. აი, კიდევ ერთი მიზეზი ბრძოლისთვის.

სავარაუდო შემადგენლობები

დანია: პიტერ შმაიხელი; მიქაელ შიონბერგი, თომას ჰელვეგი, რენე ჰენრიკსენი, იან ჰაინეე; ტომას გრავესენი, ალან ნილსენი, იესპერ გრონკიაერი; მარტინ იორგენსენი, იონ დალ ტომასონი, ებე სანდი

ჩეხეთი: პაველ სრნიჩეკი; ტომაშ რეჟაკა, კარელ რადა, პეტრ გაბრიელი; რადეკ ბეიბლი, პაველ ნედვედი, ირჟი ნემეცი, კარელ პობორსკი, პატრიკ ბერგერი; იან კოლერი, ვლადიმირ შმიცერი

ურთიერთშეხვედრები

დანია 15		ჩეხეთი
0	მოგება	10
5	ფრე	5
10	წაგება	0
8	ბურთები	32

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ფეხბურთი ჰატარა ქვეყნებისთვის: გამოაჩინეთ თქვენი სამშობლო მსოფლიოს რუკაზე

რა თარიღი ჩაიწერება თურქთა ბილეთებში

„ისტორიული გამარჯვება“ — ასეთი სათაური ამშვენებს გაზეთ „მილიეთის“ გუშინდელი ნომრის პირველ გვერდს.

რა მიხვედრა უნდა, რომ „მილიეთი“ თურქული გამოცემაა და თვისტომთა საფეხბურთო ნაკრების მიერ ბელგიის ძლევას ეხმაურება.

თურქეთისთვის ეს გამარჯვება მართლაც რომ ისტორიულია, რადგან:

— 43 წლის განმავლობაში პირველად მოუგო ბელგიას.

— პირველად გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე.

— ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე პირველად გაიტანა მატჩში ორი გოლი.

— ჰაქან შუქური პირველი თურქია, ვინც ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე დუბლი შეასრულა.

და უმთავრესი: თურქეთი პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში.

„მილიეთი“ არც ცხრება და აგრძელებს: „მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს გამარჯვებათა ისტორიას ამიერიდან ჩვენი ავტოგრაფიც ამშვენებს. ჰაქან შუქურის გოლებმა ევროპული ფეხბურთის ელიტის კარი გაგვიღო“.

არადა, ორიოდ დღის წინ იგივე „მილიეთი“, სხვა თურქული გაზეთების დარად, მიწასთან ასწორებდა ეროვნულ გუნდს, ხოლო მწვრთნელ მუსტაფა დენიზლის განსაკუთრებული მონდომებითა და შემართებით ლანძღავდა. ეს კაცი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ თქვა, დამთავრდება ევროპის ჩემპიონატი და ნაკრებს გამოვეთხოვებიო.

თურქებისა და დენიზლისთვის გედის სიმღერად ბელგიასთან მატჩი უნდა გამხდარიყო. ამ აზრზე იდგა მრავალი ექსპერტი, სპეციალისტი და გულშემატკივარი. ახლა კი, კაცმა არ იცის, როდის დაამთავრებს მოღვაწეობას თურქეთი ევრო 2000-ზე. ისიც საეჭვოა, რომ დენიზლი თანამდებობიდან გაუშვან. გუნდის მეოთხედფინალში გამყვანს, რომელი ჭკუათმყოფელი მოკიდებს ხელს?

„ჩვენმა მაგნიტლებმა არ იცოდნენ, რომ თურქეთში დასაბრუნებელი ბილეთები ღია თარიღით ავიღეთ“ — ულვაშებში ეღიმება მუსტაფა ბეის.

„პირველი ორი მატჩის შემდეგ ლანძღვა-გინების სამიზნედ ვიქეცით. ერის მოღალატეებადაც კი შეგვრაცხეს. ახლა მინდა მთელ თურქეთს ვუთხრა: ისინი არიან ერის მოღალატეები, ვინც ჩვენ უსაფუძვლოდ გვაკრიტიკებდა“ — ჰაქან შუქური პირზე დუქმიდგარი იქით უტევს ოპონენტებს. დღეს ჰაქანი გმირია, ამდენად ეს მკვახე გამონათქვამიც შეიძლება ეპატიოს.

სრეჩკო კატანეცმა მსოფლიოს სლოვენია და სლოვაკეთი განასხვავებინა

რა აზრი აქვს იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა ნამატჩევს თურქეთის ქალაქებში. ეს ხომ ისედაც ვიცით. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ კი ჯიბეზე ხელის გაკვრა გადაწყვიტა: ნაკრებმა გმირობა ჩაიდინა, ამიტომაც მეოთხედფინალში გასვლისთვის დაწესებულ სამ მილიონ დოლარს ცოტას კიდევ წავუმატებთო.

ცუდ დღეშია ბელგიის ნაკრების მეკარე ფილიპ დე ვილდე. უეჭველია, კრიტიკის ქარაშოტი არ ასცდება. ფეხბურთელიც გრძნობს ამას და თავზე ნაცრის წაყრით მოსალოდნელი რისხვის შერბილებას ცდილობს: „ორი უხეში შეცდომა დავუშვი, რაც ძალიან ბევრია. არც კი ვიცი, მანდობენ თუ არა ამის შემდეგ ბელგიის ნაკრების კარის დაცვას. მინდოდა კარგად მეთამაშა, მაგრამ... ძალიან გთხოვთ, ჩემი მდგომარეობა გაითვალისწინოთ“.

მეკარეს გამოექომაგა მწვრთნელი რობერ ვასეჟი: „სანამ დე ვილდეს შეცდომებამდე მივალთ, მანამდე ჰაქან შუქურის დიდებული თამაში უნდა აღვნიშნოთ. წაგებას ფილიპს არ ვაბრალებ და ამის უფლებას არავის მივცემ“. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ხომ გაგიგონიათ, დღეს ვასეჟი დე ვილდეს იცავს, მაგრამ, ემანდ, ხვალ თავად არ გახდეს სხვების დასაცავი.

იტალიამ სათადარიგოებით ზედიზედ მესამე მატჩი კი მოიგო, მაგრამ მწვრთნელი დინო ძოფი მაინც უკმაყოფილოა. კარგია, ორი გოლი რომ გავიტანეთ, მაგრამ სასურველ დონეზე ვერ ვითამაშეთო, ბრძანა დონ დინომ. იტალიელთა ბანაკი ტრავმებს შეუშფოთებია. კაპიტანმა პაოლო მალდინიმ მარცხენა მუხლი დაიშავა და იქნებ შემდეგი თამაშიც გამოტოვოს. მხარი იტკინა დაცვის მარცხენა ფლანგზე მალდინის სავარაუდო შემცვლელმა მარკ იულიანომ, ხოლო შვედებისთვის პირველი გოლის გამტანლუიჯი დი ბიაჯოს კუნთების დაჭიმულობა აწუხებს.

სირცხვილი იუგოსლავიას დავანებოთ თავი ნორვეგიასთან მატეა კეჟმანის უხეშობას, რომლის გამოც იგი ორ მომდევნო მატჩს გამოტოვებს. ნურც იმავე მატჩში ოთხი ფეხბურთელის გაფრთხილებას ჩავაგდებთ სათვალავში, რაც იუგოსლავიელებს 3700-დოლარიან ჯარიმად დაუჯდათ. ბელგიის პოლიციამ ლიეჟში დაკავა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის ერთერთი დიდმოხელე (ვინაობას არ იუწყებიან), რომელიც შავ ბაზარზე იუგოსლავია-ნორვეგიის მატჩის ბილეთებს ყიდდა. დაკავებულს ხელზე აღმოჩნდა 150 ბილეთი და ნაღდი ფული 150 ათასი ბელგიური ფრანკის ოდენობით, რაც დაახლოებით 3600 დოლარის ტოლფასია.



REUTERS ბრიუსელიდან

გმირი და ანტიგმირი: ჰაქან შუქური (№9) ფილიპ დე ვილდეს ამშვიდებს

5 ათას დოლარს გადაიხდის სლოვენიის ფეხბურთის ფედერაცია. ჯარიმა ესპანეთთან მატჩში ოთხი სლოვენიელის გაფრთხილებას და მწვრთნელ სრეჩკო კატანეცის მსაჯებთან კამათს მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მოსახლეობა კმაყოფილია ევრო 2000-ზე ნაკრების გამოსვლით. კატანეცს განსაკუთრებით ემადლიერებიან: ამ კაცმა სლოვენია მსოფლიოს საფეხბურთო რუკაში შეიტანაო.

სლოვენიის ნაკრები ჰოლანდიის ქალაქ დე ბილტში ცხოვრობს და ვარჯიშობს. თავისი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის გუნდმა საწვრთნელ ბაზაზე „სლოვენიის დღე“ მოაწყო. სტუმრებს სლოვენიური ღვინით და ეროვნული სიმღერებით გაუმასპინძლდნენ. ღონისძიებას იტალიასთან მოსაზღვრე ქალაქ ნოვა გორიცას მერი თავკაცობდა, რომელმაც აღნიშნა: „ბევრს სლოვენია სლოვაკეთში ეშლება. ვფიქრობ, ევრო 2000-ის შემდეგ აღრევა აღარ მოხდება, რადგან ფეხბურთის საშუალებით ჩვენმა ქვეყანამ სახელი საკმაოდ გაითქვა“.

ინგლისელთა მიმართ უეფას მუქარას აქტუალურობა არ დაუკარგავს. შეგახსენებთ, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ მკაცრად გააფრთხილა ინგლისელები, თუკი თქვენი ფანები კიდევ ერთხელ მოიქცევიან უმსგავსოდ, ნაკრებს ჩემპიონატიდან მოვხსნითო.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა ადამ ქროზიერმა ბელგიის ქალაქ შარლერუაში განცხადება გააკეთა: „ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ და მთავრობამ გაიაზრა შექმნილი სიტუაცია. ჩვენ ვიზიარებთ უეფას პოზიციას. მზად ვართ, ბელგიის მთავრობას ავუნაზღაუროთ ზარალი, რომელიც ინგლისელმა ფანებმა ამ ქვეყანას მიაყენეს“. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ესაუბრა უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს, ხოლო ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ ბელგიელ კოლეგებს დაუკავშირდა და ხულიგნობასთან ბრძოლის ერთობლივი გეგმაც დაისახა.

გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის აზრი

კარგი გუნდები სათამაშო სისტემის რამდენიმე ვარიანტს ფლობენ და საჭიროებისამებრ შეუძლიათ ერთიდან მეორეზე გადაწყობა. კარგი მწვრთნელებიც ფეხბურთელების მიხედვით კი არ არჩევენ ტაქტიკას, მწვრთნელის შემუშავებულ ტაქტიკას ემორჩილებიან და ერგებიან ფეხბურთელები. აქედან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია ისიც, მოთამაშეები იცვლებოდნენ, სისტემა და თამაშის შინაარსი კი იგივე რჩებოდეს.

იტალიის ნაკრებს ორი ტურის მერე ფაქტობრივად განაღდებული ჰქონდა მეოთხედფინალში გასვლა და ამან მათ მწვრთნელ დინო ძოფს საშუალება მისცა, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაესვენებინა, სამაგიეროდ კი სათადარიგონი გამოეცადა საქმეში.

შვედეთთან ძოფმა თითქმის ნახევარი შემადგენლობა შეცვალა, მაგრამ წინა მატჩების მსგავსად უცვლელი დარჩა სათამაშო სისტემა 3-5-2 და იტალიამ კვლავ გაიმარჯვა.

იტალიის თავდასხმაში ინძაგი-ტოტის წყვილი მონტელა-დელ პიეროს დუეტმა შეცვალა და, მიუხედავად იმისა, რომ აპენინელებს თავი დიდად არ გამოუდიათ, შვედებმა კი ალბათ თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, სწორედ დელ პიეროს ბრწყინვალე თამაშის შედეგად მაინც იტალიამ მოიგო.

დელ პიერო ის ფეხბურთელია, რომელსაც თავდასხმასა თუ ნახევარდაცვაში ერთნაირად ძლიერად ძალუძს თამაში. მას შექმნაც შეუძლია და შესრულებაც. ასეთები იშვიათად გვხვდებიან, განსაკუთრებული საფეხბურთო ინტელექტით გამოირჩევიან და შესაბამისად ძალიან ძვირადაც ფასობენ.

იტალიელთა პირველი გოლი დელ პიეროს ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, მაგრამ ამავე დროს შვედი მცველების შეცდომის შედეგიც იყო — სკანდინავიელებმა სრულიად თავისუფლად დაარტყმევინეს დი ბიაჯოს.

მეორე გოლი კი იტალიელებმა თამაშის დასასრულს მაშინ გაიტანეს, როდესაც ანგარიში 1:1 იყო და შვედ მცველებს ერთხელაც აიძულეს შეცდომის დაშვება. ბურთი დელ პიეროსთან მოხვდა, მან კი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა და შორიდან დარტყმულით გამარჯვება მოუტანა „სკუადრა აძურას“.

შვედეთმა გაკვეთილად ეს მიიღო: ფუჭია ბურთის დიდხანს კონტროლი, მეტი სახიფათო მომენტის შექმნაც, თუკი მეტოქეს უკეთესი შემსრულებლების ხარჯზე შეუძლია ეს უპირატესობა თუნდაც ეპიზოდური თამაშით გააბათილოს.

მესამე ტურში B ჯგუფის უმნიშვნელოვანესი მატჩი, ცხადია, თურქეთი — ბელგია იყო.

ვერც „საკუთარი კედლები“ და ვერც მონდომება ვერ უშველის გუნდს, თუ ის იმდენ საგოლე მომენტს ვერ გამოიყენებს, რამდენიც ბელგიას ჰქონდა.

თანაც ბელგია მეკარე ფილიპ დე ვილდეს ძალიან უხეშმა შეცდომამ დააღალატა. მეკარე, რომელიც თავდამსხმელისგან განსხვავებით ხელით მოთამაშეა, ვალდებულია, ბურთზე თავით ამხტარ მოიერიშეს ასწრებდეს. მით უმეტეს, როცა თავდამსხმელიც და მეკარეც ერთნაირ სანყის პოზიციაში არიან და ბურთისთვის ადგილიდან ხტებიან.

თურქთა გოლი ჰაქან შუქურის მიზანსწრაფულობისა და ჟინიანობის შედეგიცაა. რა იცოდა მან შეცდებოდა თუ არა დე ვილდე ასე უხეშად, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძოლა და მოგებულიც დარჩა.

ფილიპ დე ვილდემ კი კიდევ უფრო მაშინ დაამძიმა ბელგიელთა მდგომარეობა, როცა უკვე 0:2-ზე გააძევეს და თანაგუნდელები ათნი დატოვა, კარში კი შეცვლათა ამოწურული ლიმიტის გამო მცველ დეფლანდრეს მოუწია ჩადგომამ.

ძალიან ფაქიზ მიდგომას და უაღრესად სინქრონულად მოქმედებას მოითხოვს დაცვაში ხაზზე თამაში. სწორედ ეს სინქრონულობა დაირღვა მეორე გოლისას და სუათი აღარ აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში, რომლის შექმნასაც ბელგიელები ცდილობდნენ. მერე სუათმა ბურთი შესანიშნავად მიაწოდა თურქთა ლიდერ შუქურს, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია.

მეოთხედფინალში იტალიასთან ერთად თურქეთის გასვლამ და ბელგიის ჯგუფში ჩარჩენამ დაგვანახვა, რომ ფეხბურთში „საკუთარი კედლების“ ფაქტორი სასარგებლო შეიძლება იყოს, თორემ დაუძლეველი სულაც არ არის.

ჩემპიონმა დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაფუნა დარჩილს ფოტო

ცოტა ხნის წინ „ტორპედოს“ ბაზის რეკონსტრუქცია დაიწყო. გუშინ კი ჩემპიონი საყუთარ ბაზაზე ვარჯიშს შეუდგა

საქართველოს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედო“ ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საკლუბო ტურნირში — ჩემპიონთა ლიგაში — თავის დებიუტს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე აღნიშნავს. ქუთაისელთა მეტოქის ვინაობა დღესდღეობით უცნობია, მაგრამ მის შესახებაც მალე შევიტყობთ, კენჭისყრა ხომ ზეგ უნდა გაიმართოს და... სამაგიეროდ ცნობილია „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგაში დებიუტის დღე — 26 ივლისი. დიახ, ამ დღეს „ტორპედო“ თავის პირველ მატჩს გამართავს, ერთი კვირის თავზე კი საპასუხო თამაში იქნება.

რაღა ბევრი, თვეზე ოდნავ მეტი რჩება ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ბატალიებამდე. ესეც და ლიგის ამ ეტაპის თამაშებს უმალ მეთორმეტე ეროვნულის სასტარტო შეხვედრებიც მოჰყვება და, აბა, ჩემპიონი რისი ჩემპიონია, თავმოყვარე გუნდი თუ ხარ, სირცხვილი არ უნდა ჭამო, საევროპოდაც და საშინაოდაც სათანადოდ უნდა მოემზადო. ჰოდა, „ტორპედომ“ გუშინ დაიწყო...

საღამოს ექვსი საათისათვის ჩემპიონი სამშენებლო ხარაჩოებში ჩასმულ (სარემონტო — სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს) საღორიის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა და საათნახევარი ივარჯიშა მთავარი მწვრთნელის თანაშემწეების ჯემალ ხერხაძის, გელა კიკალეიშვილის და გიორგი აბზიანიძის მეთვალყურეობის ქვეშ (დავით ყიფიანს ქუთაისში დღეს ელიან). ყიფიანის დამხმარეებმა ბიჭები ოცი წუთი სავარჯიშო მოედნის გარშემო არბენინეს, მერე ორ გუნდად გაჰყვეს და ნახევარ მოედანზე ორკარაც ათამაშეს. დასაწყისისთვის სულ ეს იყო. პირველ ვარჯიშზე სულ 12 ტორპედოელი გამოცხადდა. ამაში გასაკვირიც არაფერია. შეკრების შესახებ ხომ მხოლოდ წინა დღეს გახდა ცნობილი და ყველას გაფრთხილება ვერ მოხერხდა. მეორე, დღევანდელ ვარჯიშზე კი დავით ყიფიანთან ერთად, ალბათ, დანარჩენ ტორპედოელებსაც ვიხილავთ, თუმც არ გამოვრიცხავთ, უდანაკლისოდ არც ამჯერად იქნება. საქმე ის არის, რომ რამდენიმე ფეხბურთელს გუნდის დატოვება განუზრახავს. ამათგან ჯერჯერობით მხოლოდ ორის ვინაობას გაგიმხელთ. ერთი ზაზა ვაჩიბერაძეა. იცით, საჩემპიონო სეზონში ეს ცაცა შემტევი ნახევარმცველი იშვიათად ხვდებოდა ძირითადში და უთამაშებლობას მან „ტორპედოდან“ გაცლა ამჯობინა. ვაჩიბერაძეს ქვეყნის თასის მფლობელ „ლოკომოტივში“ რეზო ძოძუაშვილთან გაუწევია. მეორე გია იმედაძე გახლავთ. ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრს კარგა ხანია კიევისკენ უჭირავს თვალი. რამდენიმე დღეში მას ერთხელაც მოუწევს იქაურ „დინამოში“ გასინჯვა და... ყველაფერი ვალერი ლობანოვსკიზე იქნება დამოკიდებული. ღმერთმა ქნას, ტრანსფერი შედგეს.

კიდევ იმას ამბობენ, დავით ყიფიანი „ტორპედოს“ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს აახლებსო და „ტორპედოს“ შეკრებაზე ესტონეთში წაიყვანსო. ყიფიანს ტალინი რომ მოსწონს და იქაურობა ძალიან რომ უყვარს ქვეყანამ იცის. საკითხავი ის არის, „ტორპედოს“ თუ გამოადგებიან სპარინგ-პარტნიორებად იქაური გუნდები. თუმცა, რა საკითხავია, ალბათ, გამოადგებიან. იქაურებმა ხომ ფეხბურთშიც გაგვისწრეს (გაიხსენეთ ჩვენი ნაკრების ესტონელებთან ამასწინდელი მარცხი).

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

კალაძე აუზში და ველოსიპედზე

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველმა კახა კალაძემ პოლტავის „ვორსკლასთან“ უკრაინის ჩემპიონატის მატჩის მიწურულს კოჭი რომ გაიტეხა, ამის თაობაზე ადრეც გაუწყეთ. მაშინ კახამ გვითხრა, ფეხის მკურნალობას დაახლოებით თვე დასჭირდება, ახლა თაბაშირი მადევსო.

გუშინ კახა კალაძეს კვლავ შევეხმიანეთ კიევში და ჯანმრთელობის ამბავი ვკითხეთ.

— გართულებისგან ღმერთმა დამფაროს, ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის. „დინამოს“ ექიმის რჩევით ყოველდღიურად აუზში ვბანაობ. თაბაშირი უკვე მოვიხსენი, არტაშანი მადევს. სამ-ოთხ დღეში ალბათ ამასაც შემხსნიან და ველოსიპედაც შემოვაჯდები. ყოველ შემთხვევაში, ექიმები მაიმედებენ. ძუნძულს სავარაუდოდ სამი კვირის შემდეგ დავიწყებ, რამდენიმე დღეში გუნდთან ერთადაც ვივარჯიშებ. იმის თქმა კი ნაღდად შემიძლია, რომ ახალი სეზონისთვის ძველებურ ფორმაში ვიქნები.

კახა კალაძე საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს, „დინამოსთან“ ერთადაა, თანამედროვე პრეპარატ-აპარატებით წამლობს და... ერთი სეზონიც ხომ კიევის „დინამოში“ უნდა დაჰყოს...

კობა ინასარიძე

ძოძუაშვილი ლოკომოტივს დაუბრუნდა

საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“ შაბათს შეუდგა წინასასეზონო სამზადისს. ესტონეთიდან, სადაც საქართველოს ნაკრებმა ამხანაგური მატჩი 0:1 წააგო, რევაზ ძოძუაშვილმა კოლეგა დავით ყიფიანთან ერთად პირდაპირ ბენილუქსს მიაშურა და ნაკრების სამომავლო მეტოქეები — იტალია და რუმინეთი საქმეში იხილა. ძოძუაშვილი თბილისს 16 ივნისს დაბრუნდა და მეორე დღესვე გუნდი „ლოკომოტივის“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეკრიბა.

მწვრთნელის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დატოვებს, ან შეემატება რკინიგზელთა გუნდს — ახლა სელექცია მიმდინარეობს, წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა უახლოეს დღეებში გაირკვევაო.

„ლოკომოტივის“ სამომავლო გეგმებზე კი ეს ძოძუაშვილმა გვითხრა, 25 ივნისიდან ალბათ ბორჯომს მივაშურებთო.

კობა ინასარიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	ბობოხიძე (დინამო), ვაჩიბერაძე (ლოკომოტივი), იმედაძე (დინამო, კიევი, უკრაინა)		20 ივნისიდან ქუთაისში ვარჯიშობს. მოგვიანებით 10 დღით თბილისში, მერე კი ესტონეთში შეიკრიბება
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		სულთანიშვილი (დილა), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	19 ივნისიდან მცხეთაში ვარჯიშობს. 22 ივნისს ორი კვირით ბაკურიანში შეიკრიბება, 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიაში შეიკრიბება
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან),	ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2 25 ივნისს ინტერტოტოს თასზე „სტანდარდს“ სტუმრობს
	ბათუმი *ჯანი კარნეველი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუციაძე, მაჭუტაძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი)	7 ივნისიდან შვებულებაშია 3 ან 4 ივლისს ბათუმში შეიკრიბება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ღალინიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი)		21 ივნისიდან ფოთში ვარჯიშობს
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?)		26 ივნისს ბოლნისში შეიკრიბება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ფუანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21 ივნისიდან გორში ვარჯიშობს
	მერანი *სერგო გაბელაია*			1 ივნისიდან შვებულებაშია. 25 ივნისს თბილისში შეიკრიბება, თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ასლანიძე, ნიკურაძე (?, ისრაელი)	ვაჩიბერაძე (ტორპედო), ფუანია, ნაროუშვილი (იბერია), ზურაბ აიანადი (ხობი)	17 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს. 25 ივნისიდან ბორჯომში მოემზადება
	თსუ *თენგიზ კაცია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ)		12 ივნისიდან შვებულებაშია 26 ან 27 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
	გორდა *იასონ ალადაშვილი*			1 ივნისიდან შვებულებაშია

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

გივი კვარაცხელია: მთავარია, ფეხბურთს ვთამაშობ

„დინამოში“ 1997 წლის დასაწყისიდან გამოჩნდა. ჟურნალისტთა ყურადღებაც მაშინვე მიიპყრო. მაღალი, ათლეტური ცენტრალური ნახევარმცველი დიდად საიმედო ფეხბურთელად მოინათლა. მერე და მერე სათადარიგოებში ჩაიკარგა. მიუხედავად იმისა, რომ 18-წლამდელთა ნაკრების უცვლელი წევრი გახლდათ და რამდენჯერმე ახალგაზრდულშიც მოსინჯა ძალა, კლუბში სათადარიგოობას მაინც ვერ გასცდა.

დრო გადიოდა. გივი კვარაცხელიას უთამაშებლობა დაღს ასვამდა. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სათამაშოდ სხვა კლუბშიც არ, ან ვერ მიდიოდა.

და მაშინ, როცა თითქოს საშველიც არსაიდან ჩანდა, კვარაცხელიამ თამაში დაიწყო. მშველელად თბილისური „ლოკომოტივი“ და რევაზ ძოძუაშვილი მოევლინა. გივიმ სისტემატურად, ძირითადში თამაში მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპიდან დაიწყო და მოკლე დროში რკინიგ ზელთა ერთ-ერთ სასარგებლო მოთამაშედაც იქცა. ჰოდა, „ლოკომოტივმა“ თასი რომ დაისაკუთრა, ამაში კვარაცხელიამაც დაიდო თავისი მოკრძალებული წვლილი.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები გივი კვარაცხელია (№7), რევაზ ქემოკლიძე და ნორვეგიელი იონ კარეუ

— „ლოკომოტივში“ გადასვლამ ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრებაც და საფეხბურთო კარიერაც. ისევ გამეხსნა გზა ევროპული ფეხბურთისკენ. სათამაშო პრაქტიკა ახლა არ მაკლია, რევაზ ძოძუაშვილისგანაც დიდ ცოდნასა და გამოცდილებას ვღებულობ.

— „დინამოს“ თავი როგორ დააღწიე? როგორც ცნობილია, შენც და ბევრ შენს თანატოლსაც „დინამოსთან“ მეტად ხანგრძლივი კონტრაქტი გაკავშირებდათ.

— ისე მოხდა, რომ „დინამოში“ შვიდი თვის ხელფასი მქონდა ასაღები. სხვა წვრილ-წვრილი საკითხებიც იყო მოუგვარებელი. ამას კლუბიდან წასვლის შესახებ ჩემი დაჟინებული მოთხოვნაც დაერთო და ჩვენი გზებიც გაიყარა.

— „დინამოში“ რომ ყველაფერი მოგვარდეს და კლუბის ხელმძღვანელებმა ისევ მიგიწვიონ, თუ დათანხმდები?

— საქართველოში ყველგან ვითამაშებ, თუ ჩემი მწვრთნელი ძოძუაშვილი იქნება. სხვას ვერაფერს გეტყვით.

— „დინამოზე“ გაბრაზებული ხომ არა ხარ?

— არავითარ შემთხვევაში. პირიქით, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. „დინამომ“ ბევრი სასიხარულო წუთები მაჩუქა და ბევრიც მასწავლა. იქ მეტად სასარგებლო სკოლა გავიარე. უბრალოდ, ჩემი შემდგომი ზრდისთვის, ჩემი კარიერისთვის სხვა გუნდში გადასვლა იყო საჭირო.

— ერთხანს უცხოეთში წასვლაც სცადე, მაგრამ როგორც ქართველ ფეხბურთელთა უმეტესი ნაწილი, ისევ უკან დაბრუნდი. მიზეზს ხომ არ გაამხელდი?

— რა საიდუმლო ეს არის. ჯერ თურქეთში, იქაურ „ბურსასფორში“ ვიყავი, მერე კი საუდის არაბეთში. ზოგჯერ ხდება, პირობებია მიუღებელი. ვიცი, ბევრს გაეცინება, როცა ამ გაცვეთილ ფრაზას წაიკითხავს, მაგრამ... ფეხბურთელი ყველაფერზე არ უნდა დათანხმდე. კონტრაქტში შენი პირობებიც ხომ უნდა იყოს გათვალისწინებული.

ზოგჯერაც კლუბი ითხოვს იმდენს, რომ მთხოვნელს ფეხბურთელის გადასაბირებლად ყველა სურვილი ეკარგება.

ბოლოს ერთსაც დავამატებდი. ფეხბურთელი უცხოეთში თამაშზე რომ ფიქრობ, ამისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა იყო. მე მარტო ფიზიკურ-ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას როდი ვგულისხმობ. ისიც კარგადაა გასარკვევი, სად, როგორი მენტალიტეტის ხალხში მიდიხარ.

— მინდორზე სისწრაფით არ გამოირჩევი. ამ ნაკლის აღმოფხვრას როგორ აპირებ?

— ვცდილობ, მინდორზე გადაადგილების ტემპები ერთიორად გავზარდო. ამისთვის ინდივიდუალურადაც ვემზადები და ფიზმომზადების სპეციალისტთანაც ვვარჯიშობ. ვნახოთ, რა გამოვა.

— ბოლო დროს გოლების გატანას კი მოუწმირე, მაგრამ შორი და საშუალო მანძილებიდან კარში დარტყმა მაინც არ გივარგა. არადა, ნახევარმცველისთვის ზუსტი და ძლიერი შორეული დარტყმები აუცილებელია.

— მართალი ბრძანდებით. ძლიერი დარტყმა კი მაქვს, მაგრამ სიზუსტეს ვერ დავიკვეხნი. გარკვეულწილად ეს იმ სამი უმოქმედო წლის ბრალია, ფაქტობრივად სათადარიგო მოთამაშე რომ ვიყავი. ეს მეტყობა კიდეც, ყველა სათამაშო მომენტში ვერ ვერკვევი, ვჩქარობ და წუნიც აქედან მოდის. იმედია, ვარჯიშით ნაკლი აღმოიფხვრება.

— „ეროვნულზე“, „ბათუმთან“ სათასო მატჩში მწვრთნელებმა ის კვარაცხელია იხილეს, როგორიც „ლოკომოტივისთვის“ იყო სასურველი. მანამდე კარგ ფორმაშიაო, ბევრიც არავინ იტყოდა.

— ყველაფერი დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე, მოსამზადებელ ეტაპზე მიღებული ტრავმის ბრალია. კვიპროსულ შეკრებაზე მეტად უცნაური ტრავმა მივიღე. ფეხის კუნთი გამიწყდა. მკურნალობას დრო დასჭირდა და ამან სათამაშო ფორმიდანაც ამომაგდო. კარგია, რომ ჩემპიონატის ბოლოს კლუბისთვის სასარგებლოდ ავთამაშდი.

— ფინალურ მატჩში „ტორპედოსთან“ თერთმეტმეტრიანი არ დაგერტყამს, არადა, „ვიტ ჯორჯიასთან“ მეოთხედფინალში შენი პენალტი აღმოჩნდა გადამწყვეტი...

— ვერ მოვასწარი, უფრო სწორად, ზურაბ ხიზანიშვილმა „დაბსწრო“. შე ბოლოს უნდა დამერტყა და მერწმუნეთ, გული სულაც არ დამწყვეტია, ჩემმა რიგმა რომ არ მოაწია. ღვთის მადლით, ზურამ გაიტანა და თასიც დავისაკუთრეთ.

— ახალგაზრდულ გუნდს თამაში კარგა ხანია, არ წაუგია. ეს კარგია, მაგრამ მოგება როდის უნდა დაიწყოთ?

— თუ არ ვცდები, მეცამეტე თამაში ჩავატარეთ წაუგებლად. რა ვიცი, ალბათ, მოგებების სერიებიც გვექნება. ისე, ოპტიმალური შემადგენლობით თითქმის არც ერთ თამაშში არ გავსულვართ. იმედია, შესარჩევი ციკლისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

— პირადად მე ამ მხრივ პრობლემებს არ გადავწყდომივარ, მაგრამ რატომღაც ბევრი ამტკიცებს, კვარაცხელია ზრდილობის დეფიციტს განიცდისო.

— არ ვიცი, რა გიპასუხო. მგონი, ზრდილობის ნორმები არავისთან დამირღვევია. არა მგონია, ვინმე ახლოს მიცნობდეს და ჩემზე მსგავსი თქვას. მიუხედავად ამისა, თუ ვინმეს ოდესმე უნებლიედ რამე ვაწყენინე, ბოდიშს ვუხდი. მერწმუნეთ, ამ სიტყვებს გულწრფელად ვამბობ.

— ფეხბურთის გარდა რა გიტაცებს?

— მანქანები. ჩემი უცნაური გატაცებაც ეს გახლავთ.

— რომელია შენი ჯერჯერობით ყველაზე ფასეული გამარჯვება?

— თასის ფინალში „ტორპედოს“ დამარცხება. მსგავსი გრძნობა არასდროს განმიცდია, თუმც, ალბათ, ბევრი თანაგუნდელიც იგივეს გეტყოდათ. იმ საღამოს თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა.

— ყველა განსაკუთრებულ რეჟიმისტად გიცნობს. დავიჯერო, მთლიანად „უცოდველი“ ხარ?

— არა, არა! დამიჯერეთ, რეჟიმს არასდროს ვარღვევ. ჩემთვის ეს აქსიომაა. მე ზედმეტი წონის პრობლემა მაწუხებს. ერთი მცდარი ნაბიჯი და ჭარბი წონა მომეძალება. ის კი არა, კარგ ფორმაში მყოფსაც მიჭირს წონის რეგულირება, ამიტომ რეჟიმის დარღვევა გამორიცხულია.

— ფეხბურთს გარეთ როგორი ბიჭია გივი კვარაცხელია?

— რა ვიცი. ჩვეულებრივი; როგორიც ყველა.

— რაზე ოცნებობ?

— ჩემი ოცნება „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშია. თუ ამას ახდენა არ უწერია, მაშინ ინგლისში ბურთაობაზეც ყაბულსა ვარ. ვეცდები, ყველაფერს გავიღებ, რათა ჩანაფიქრი ავისრულო.

— როგორ ფიქრობ, ცხოვრებაში რა გაკლია?

— თითქმის არაფერი. მთავარია, ფეხბურთს ვთამაშობ, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

მამუკა კვანტალიანი

ალო... აალსტი!

მენეჯერმა ჯაკობია ახალი გუნდით გაახარა

მორჩა, ყველაფერი გადაწყდა — გვითხრა ფოთში ნათესავებთან მყოფმა ლაშა ჯაკობიამ. ეს ფეხბურთელი დღედღეზე ელოდა თავისი ახალი კლუბის ვინაობის გარკვევას და საწადელიც აუსრულდა. ბელგიაში მყოფმა მენეჯერმა სასიხარულო ამბავი ამცნო ჯაკობიას — თქვენ „აალსტში“ ითამაშებთ!

ლაშა ჯაკობია

როგორც იცით, ჯაკობია ბელგიურ „სტანდარდს“ ეკუთვნის და სწორედ ამ კლუბიდან იყო განათხოვრებული ქვედადივიზიონელ „ვეზეტში“. „ვეზეტის“ შემადგენლობაში ჯაკობიას წარმატებულმა თამაშმა ბელგიაში ბევრი კლუბი დაინტერესა, თუმც „სტანდარდმა“ ქართველის გაყიდვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, არც შეშლიათ ლიეჟელებს — ახალგაზრდა ქართველის აშკარა პროგრესი ყველასთვის თვალშისაცემია. მოგვიანებით „სტანდარდის“ ხელმძღვანელობა ჯაკობიას სხვა კლუბისთვის დროებით გასხვისებას დაყაბულდა და... რამდენიმე დღის წინ ბელგიური ფეხბურთის ერთ-ერთმა საინტერნეტო გვერდმა ჯაკობია „ბევერენში“ განათხოვრებულ ყოფილ ვეზეტელად მოიხსენია.

— შესაძლოა, „ბევერენში“ ჩემი გადასვლით იქაურები იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ მოვლენებს წინ გაუსწრეს. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ „სტანდარდმა“ ერთი წლით „აალსტში“ გამანათხოვრა. რა თქმა უნდა, „ბევერენიდანაც“ მქონდა მოწვევა, მაგრამ საბოლოოდ „აალსტმა“ იმარჯვა, მან უკეთესი, გაცილებით კარგი და ჩემთვის მისაღები პირობები შემომთავაზა და მოხარული ვარ, რომ სწორედ ამ გუნდში მომიწევს თამაში. ბოლოს და ბოლოს „აალსტი“ „ბევერენზე“ კარგი გუნდია და მჯერა, ბელგიის მომავალ ჩემპიონატში თავს არ შეირცხვენს. ეს კლუბი რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და, როგორც მითხრეს, სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს. იმედი მაქვს, ამ ბრძოლაში ახალ თანაგუნდელებს მეც შევეშველები — თქვა გუშინ ჯაკობიამ.

ცოტა რომ ჯაკობიას ახალ კლუბზეც ვთქვათ. ეენდრახტის „აალსტი“ საშუალო კლუბად ითვლება ბელგიაში. წინა პირველობაზე მან მეთორმეტე ადგილი დაიკავა და საერთოდ ბოლო წლებში რჩეულთა შორის დარჩენისთვის იბრძვის. 11 მაისს დასრულებულ ბელგიის ბოლო ჩემპიონატში ეენდრახტელებმა „ჰარელბეკესთან“ ერთად ყველაზე მეტი — 19 მატჩი წააგეს.

რაც შეეხება „აალსტთან“ ჯაკობიას გაცნობას, იგი 29 ივნისს შედგება. ამ დღეს კლუბის ხელმძღვანელები ქართველ ფეხბურთელს ოფიციალურად შეხვდებიან და მას გულშემატკივრებსაც წარუდგენენ. ჯაკობია ბელგიაში 25 ივნისს გაემგზავრება თვის ბოლოს სავალდებულო სამედიცინო ტესტირებასაც გაივლის და ივლისის დასაწყისიდან ახალ გუნდის საწვრთნელ პროცესში ჩაერთვება.

პაატა კვანტალიანი

გიგიაძეები ტორპედოში... მოსკოვისაში!

დიახ, დიახ, ათი დღეა ტყუპი ძმები ვასო და სოსო გიგიაძეები, მეთერთმეტე ეროვნული სამტრედიის „იბერიაში“ რომ ჩაამთავრეს, მოსკოვში იმყოფებიან, „ლუჟნიკების“ სასტუმროში ცხოვრობენ და იქაურ „ტორპედოში“ ისინჯებიან.

ვასილ გიგიაძე

ტყუპების ისტორიას აღარ მოვყვებით. ამათ შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია და ისიც გვითქვამს, გიგიაძეებს ბედი არ წყალობთ. კი, ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, სადაც კი მისულან, ფაქტობრივად, არცერთ გუნდს არ უთქვამს მათზე უარი, მაგრამ... ხან ტრავმები, ხანაც რაღაც... გიგიაძეები კი არ იშლიან თავისას: დიდი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, თანაც ერთადო.

ტყუპები რუსულ „ტორპედოში“ სამტრედიული კლუბის პრეზიდენტის ნუგზარ ნიკოლაიშვილის შუამდგომლობით აღმოჩნდნენ და პირველი გამოცდა უკვე გაიარეს. „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომ ჩვენებურთ ტექნიკური მომზადება მოუწონა და ახლა გამძლეობაზე უტარებს ტესტირებას. ვასოს და სოსოს ხან მთავარი გუნდის, ხანაც მეორე დივიზიონში მოასპარეზე მისი ფარმკლუბის მოთამაშეებთან უწევთ ვარჯიში და...

„ტორპედოს“ მესვეურებმა გუშინ „იბერიის“ პრეზიდენტსაც უხმეს მოსკოვში. გვიან საღამოს მოლაპარაკება უნდა გამართულიყო. დაიტოვებს გიგიაძეებს „ტორპედო“?! მოსკოვისა.

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

ჯიმ სმიტი პასუხს ელის

„დერბი ქაუნთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა დაადასტურა, რომ „რუსენბორგის“ მცველის, ბიორნ ოტო ბრაგსტადის შეძენა სურს. თუმცა აღნიშნა, რომ ნორვეგიიდან ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია. გიორგი ქინქლაძის გუნდმა „რუსენბორგს“ ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელის სანაცვლოდ 1,1 მილიონი გირვანქა შეაძლია.

„დერბიში“ ბრაგსტადის გადმოყვანა გვინდა, მაგრამ ნორვეგიელები პასუხს აგვიანებენ — განაცხადა სმიტმა — შეთანხმება ჯერჯერობით შეყოვნდა, თუმც იმედს ვიტოვებთ, რომ ფეხბურთელს მაინც შევიძენთ“.

29 წლის ბრაგსტადმა ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ესპანეთის წინააღმდეგ ითამაშა. მატჩის შემდეგ მან თქვა: „ყველაფერი კარგადაა. მიხარია, რომ ესპანელების დამარცხება შევძელით“.

მერე ბრაგსტადმა იუგოსლავიასთან მეორე შეხვედრაშიც ითამაშა, თუმცა დაშავდა და შესაძლოა ბოლო ჯგუფური მატჩი გამოტოვოს.

„რუსენბორგის“ დირექტორი რუნე ბრატსეტი ამბობს: „ბრაგსტადი ძლიერი ფეხბურთელია, ესპანელებთან ნამდვილად კარგად გაისარჯა. „რაც შეეხება „დერბის“ წინადადებას, ტრონჰეიმული კლუბის ხელმძღვანელი ჯერჯერობით დუმს.

ესპანელი ხოსება ეჩებერია (№17) და ნორვეგიელი ბიორნ ოტო ბრაგსტადი

არგენტინა

მე-15 ტური: რივერ პლეიტი — ტალერესი 2:0; ლანუსი — სან ლორენსო 0:1; ესტუდიანტესი — კოლონი 0:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — ხიმნასია ლა პლატა 0:0; ველეს სარსფილდი — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:0; არგენტინოს ხუნიორსი — ფერო კარილი 1:0; ინდეპენდიენტე — ინსტიტუტო 3:2; ხიმნასია ხუხუი — რასინგი 1:2

კლაუსურას კვლავ „რივერ პლეიტი“ ლიდერობს. წინა უქმეებზე „რივერმა“ ცხრილის შუაადგილოსან „ტალერესს“ 2:0 სძლია და პირველობა შეინარჩუნა. მას 3 ქულით „ინდეპენდიენტე“ და „სან ლორენსო“ ჩამორჩებიან. ორივე მდევარმა მოიგო — „სან ლორენსომ“ სტუმრად „ლანუსი“ 1:0, ხოლო „ინდეპენდიენტემ“ შინ „ინსტიტუტო“ 3:2 დაამარცხა.

„რივერ პლეიტი“ — „ტალერესის“ შეხვედრაში თავი ედუარდო ბერიზომ და დიეგო პლაჩენტემ გამოიჩინეს და თავიანთ გუნდს საჭირო სამი ქულა მოუპოვეს.

ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, „ბოკა ხუნიორსმა“ სხვებზე მატჩით ნაკლები ჩაატარა და ლიდერისგან 6 ქულაც აშორებს. „ბოკას“ ამ უქმეებზე არ უთამაშია, ლიბერტადორესის თასის ფინალისთვის ემზადებოდა — ოთხშაბათს გუნდი ბრაზილიური „პალმეირასის“ წინააღმდეგ უნდა წარდგეს.

„რივერს“ არგენტინული დუბლის შესრულება ძალუძს. შეგახსენებთ, რომ გუნდმა პირველობის პირველი გათამაშება, აპერტურა (გახსნის ჩემპიონატი) მოიგო. კლაუსურას დასრულებამდე კი ოთხი ტური დარჩა.

რივერ პლეიტი	15	9	5	1	32:15	32
ინდეპენდიენტე	15	9	2	4	34:20	29
სან ლორენსო	15	9	2	4	19:9	29
ბოკა ხუნიორსი	14	7	5	2	23:10	26
უნიონი	14	8	2	4	21:20	26
კოლონი	15	7	3	5	29:24	24
ლანუსი	15	6	4	5	30:17	22
ოლდ ბოიზი	15	6	4	5	24:20	22
ველესი	15	5	7	3	22:16	22
ლა პლატა	15	6	4	5	23:27	22
ინსტიტუტო	15	5	5	5	22:24	20
ტალერესი	15	5	5	5	13:16	20
ბელგრანო	14	5	4	5	23:19	19
როსარიო	14	4	5	5	19:18	17
არგ. ხუნიორსი	15	4	5	6	17:28	17
ესტუდიანტესი	15	3	6	6	19:24	15
ჩაკარიტა	15	3	5	7	15:23	14
რასინგი	15	2	6	7	16:24	12
ხუხუი	15	2	2	11	12:28	8
ფერო კარილი	15	2	1	12	9:40	7

ინგლისზე ფსონებს აღარ იღებენ

ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, უფრო ზუსტად 6 ივლისს, ფიფამ 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძელი ქვეყანა უნდა დაასახელოს. კენჭისყრაზე ხუთი კანდიდატი — ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, მაროკო და სამხრეთ აფრიკაა წარმოდგენილი.

ბელგია-ჰოლანდიაში ბრიტანელ გულშემატკივართა უმსგავსო საქციელმა ბევრს აფიქრებინა, რომ ინგლისს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის შანსები საგრძნობლად შეუმცირდებოდა. კომისიის ერთ-ერთი წევრი ამბობს: „არც ისეა საქმე, როგორც გააზვიადეს. თუ ჩემპიონატი ინგლისში ჩატარდება, ფანებს თავიანთი აგრესიის გამოვლენის საშუალება არ ექნებათ. მათ ადგილობრივი პოლიცია დააშოშმინებს. ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, მხარს მხოლოდ ღირსეულს დავუჭერ“.

კომისიის კიდევ ერთმა წევრმა საინფორმაციო სააგენტოებს განუცხადა: „ინგლისში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ეს თამაში ხომ ამ ქვეყანაში დაიბადა. თუმცა, სწორედ ემოციები ართულებს ყველაფერს. ის შეიძლება ძალადობაში გადაიზარდოს, რომლის აღკვეთაც სპორტის მაღალჩინოსან მოხელეთა მოვალეობაა“.

აქა-იქ უკვე ალაპარაკდნენ, რომ ინგლისმა ჩემპიონატის მასპინძლობის შესაძლებლობა თითქმის დაკარგა და ფიფა უპირატესობას გერმანიას ანიჭებს. თუმცა 6 ივლისამდე ამას, ალბათ, ვერავინ გაარკვევს.

ერთი საინტერესო ფაქტიც. სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ლონდონის ბუქმეიკერებმა ინგლისზე ფსონების მიღება შეწყვიტეს...

დელ ბოსკე: გუტი არ იყიდება

ჩემპიონთა თასის მფლობელ მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდის ძირითად ბირთვს შეინარჩუნებს. ესპანური პრესის ცნობით, სამეფო კლუბი, შესაძლოა რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ, მათ შორის ხოსე მარია გუტიერესმა, ფერნანდო მორენტესმა, ნიკოლა ანელკამ და სავიომ დატოვონ. ამის თაობაზე დელ ბოსკემ განაცხადა: „გუტის არ გავყიდით. ანელკა და მორენტესიც ჩვენთან დარჩებიან, თუ მათ სანაცვლოდ ხელსაყრელი თანხა არ შემოგვთავაზეს. გუნდის ბირთვი უეჭველად იგივე დარჩება, თუმც ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად კონკურენცია გაიზრდება. „რეალს“ ევროკავშირის ლიმიტიც შეეხო, ამიტომ გუნდში არაევროპელ მოთამაშეთა რიცხვის შემცირება მოგვიწევს. სავარაუდოდ, საუკეთესოებს შევარჩევთ. ალბათ, ბრაზილიელ როდრიგო ფაბრისაც შემოვიერთებთ, რომელიც „ვალიადოლიდში“ თამაშობდა, წინასასეზონო შეკრებას იგი ჩვენთან ერთად გაატარებს.“

დელ ბოსკეს განცხადებით, სამეფო კლუბში სავარაუდოდ სამუელ ეტოოც დაბრუნდება, რომელიც განათხოვრებით „მალიორკაში“ ასპარეზობდა. წარმოშობით არაევროკავშირელი დანარჩენი ფეხბურთელებიდან კი „რეალში“ კამერუნელი ჯერემი ნჯიტაპი, ბოსნიელი ელვირ ბალიჩი და კოლუმბიელი ედვინ კონგო იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის პრიმერადივიზიონი 9 სექტემბერს დაიწყება.

ევროფლიოს ჩემპიონატის უმსაღლესი ლიგა

კონკაკაფი

II მატჩი

ჰაიტი 1:3 *ჰონდურასი* (0:4)

ფეხბურთის ნოვოსტები

ბრაზილიელ ფორვარდ ფრანკას წამყვანი ევროპული კლუბების წინადადებები არ აკლია. ყველაზე მეტად „არსენალი“ აქტიურობს, თუმცა ფეხბურთელის შეძენის სურვილს „ფიორენტინა“, „ლევერკუზენი“, „პსჟ“ და „ვალენსიაც“ გამოთქვამენ. „უკვე ძალიან ბევრი შემოთავაზება მივიღეთ. აცხადებს „სან პაულუს“ პრეზიდენტი ამარალი — თავად ფრანკას „სან პაულუსკენ“ უჭირავს თვალი, მაგრამ ევროპული კლუბებისთვის უარის თქმა იოლი არ გახლავთ. რა ბედი ეწევა ფრანკას, ჯერჯერობით ვერ გეტყვით“.

ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა დაადასტურა, რომ „სელტიკის“ ავსტრალიელი ფორვარდის, მარკ ვიდუკას შეძენა სურს. „გლაზგოური კლუბის ნებართვით ფეხბურთელს, ალბათ, მალე შევეხმიანებით, ვიდუკა ამჟამად იაპონიაშია. მასთან მოლაპარაკების პროცესი რამდენიმე დღით გადაიდო“ — განაცხადა რიდსდეილმა. თავად ვიდუკამ ადრე აღნიშნა, რომ პრემიერლიგას ამჯობინებს. „ინგლისის ჩემპიონატში გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია. კარგი იქნება, თუ „ლიდსში“ გადავალ და ჩემს თანამემამულე ჰარი კიუელთან ერთად ვითამაშებ“.

იტალიელი თავდამსხმელი რობერტო ბაჯო, შესაძლოა მილანის „ინტერიდან“ „ფიორენტინაში“ გადავიდეს. ფლორენციული კლუბის პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორომ განაცხადა: „მსურს, გუნდის გულშემატკივრებს ღირსშესანიშნავი საჩუქარი მივუძღვნა. ბაჯოს სიამოვნებით შევიძენ, ის მართლაც ძლიერი ფეხბურთელია. მას ბევრი სხვა კლუბიც იწვევს, ამიტომ ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი“. ადრე გაუწყეთ, რომ ბაჯომ წინადადებები მიიღო ლონდონური გრანდებისგან, „ჩელსისა“ და „არსენალისგან“, ახლა კი მათ „ნაპოლიც“ დაემატა. მაშინ ბაჯომ თქვა, არ არის გამორიცხული, „ვიჩენცაში“ ჩავირიცხო, სადაც ჩემი ძმა თამაშობსო.

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად შესაძლოა კრისტოფ დაუმი დაინიშნოს. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „ლევერკუზენის“ თავკაცმა აღნიშნა: „ნებისმიერი ფეხბურთელი ან მწვრთნელი ოცნებობს ნაკრებში მიწვევაზე“. ერთ-ერთი გერმანული ბუქმეიკერული კანტორა კრისტოფ დაუმის არჩევას სრულიად შესაძლებლად მიიჩნევს, თუმცა გერმანული პრესა ბევრს ლაპარაკობს „ბენფიკას“ მწვრთნელ იუპ ჰაინკესისა და „კაიზერსლაუტერნის“ დამრიგებელ ოტო რეჰაგელის კანდიდატურებზე. ფრანც ბეკენბაუერმა, რომელმაც სათამაშო და სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ბუნდესნაკრებთან ერთად ორი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, გაზეთ „ბილდს“ განუცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელად მისი დანიშვნა გამორიცხულია. „გუნდს, ალბათ, აღარასოდეს გავწვრთნი. აქვე დავძენ, რომ „ბაიერნიდან“ არც ოტმარ ჰიცფელდი წავა. მართალია, მას ბუნდესნაკრების შესაძლო თავკაცად ასახელებენ, მაგრამ ჩვენ არ გავუშვებთ“.

რუსული „შინიკის“ მთავარ მწვრთნელად 43 წლის ალექსანდრ პობეგლოვი დაინიშნა. ბოლო სამი ტური გუნდს სწორედ იგი ავარჯიშებდა, მას შემდეგ, რაც პოსტი ალექსეი პეტრუშინმა დატოვა. „შინიკის“ ვიცე-პრეზიდენტის ცნობით, ახალმა მწვრთნელმა კლუბთან ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა შეთანხმება გაახანგრძლივოს.

ისლანდიელი ფორვარდი ეიდარ გუდიონსენი „ჩელსიმ“ „ბოლტონიდან“ 6 მილიონ დოლარად გადაიბირა. ფეხბურთელმა, რომელმაც წინა სეზონში 22 გოლი გაიტანა, ახალ კლუბთან ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „სამწუხაროა, „ბოლტონი“ ზედა ლიგაში ვერ გადავიდა, თუმცა მოხარული ვარ, იმით, რომ „ჩელსიში“ ვითამაშებ. წინა სეზონში პრემიერლიგურ კლუბებთან რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე, ვგონებ, ცუდად არ გავრჯილვართ“ — განაცხადა 21 წლის გუდიონსენმა.

ესპანური „ბარსელონას“ პრეზიდენტობის კანდიდატი ხაიმე ლაურადო კლუბის ხელმძღვანელად თუ დაინიშნა, „არსენალის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელ დენის ბერხკამპს შეიძენს. ჯერ არავინ იცის, მოახერხებს თუ არა ლაურადო არჩევნების მოგებას, მან კი რამდენიმე ფეხბურთელს უკვე დაადგა თვალი. მათ შორის არის არგენტინელი ხუან რამონ რიკელმეც.

პორტუგალიელ ჟოაუ პინტუს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მის მსურველ წამყვან ევროპულ კლუბთაგან. მათ შორის არიან „ლივერპული“, „ევერტონი“, „ჩელსი“ და „ბარსელონა“. „ჩელსის“ ხელმძღვანელი კოლინ ჰათჩისონი აცხადებს: „პინტუს ჩვენს რიგებში ხილვა მართლაც გვსურს და ევრო 2000-ის შემდეგ იქნებ დავიყოლიოთ, ლონდონში გადმოვიდეს“. თავად 28 წლის ფეხბურთელის გუნდის, „ბენფიკას“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით არაფერს იუწყება.

გერმანული პრესა წერს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ სლოვენიის ნაკრების ფორვარდის, ზლატკო ზაჰოვიჩის ყიდვას აპირებს, თუმცა ინგლისის ჩემპიონებს ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ. ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი ზაჰოვიჩი ამჟამად „ოლიმპიაკოსში“ ირიცხება, თუმც ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო, ალბათ, კლუბს დატოვებს. სლოვენიელს რამდენიმე ევროპული გუნდი ეპატიჟება.

პორტუგალია—რუმინეთის შეხვედრაში ბოლო წუთზე გატანილი გოლის ავტორს, პორტუგალიელ ფრანსისკუ და კოშტა კოშტინიას მადრიდის „რეალი“ იწვევს. საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ ფეხბურთელს „ნიუკასლ იუნაიტედმაც“ მიაპყრო ყურადღება. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, ესპანეთის სამეფო კლუბის დირექტორი ხოსე მარტინეს პირი კოშტინიას საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრებში აკვირდებოდა და არ არის გამორიცხული, ევრო 2000-ის დასრულების შემდეგ მას მადრიდში გადასვლა შესთავაზოს.

ინგლისური „ნიუკასლის“ მთავარ მწვრთნელ ბობი რობსონს ჩეხეთის ნაკრების ფორვარდის იან კოლერის შეძენა სურს. ბრიტანული პრესის ცნობით, „კაჭკაჭები“ „ანდერლეხტს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. 27 წლის კოლერი „ანდერლეხტში“ ერთი წლის წინ „ლოკერენიდან“ 2 მილიონ გირვანქად გადავიდა და ახალ გუნდთან ერთად ბელგიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თუ ბობი რობსონმა კოლერი გადაიბირა, შესაძლოა, შოტლანდიელი თავდამსხმელი დანკან ფერგიუსონი გაყიდოს. ფეხბურთელი „ნიუკასლში“ 1998 წელს „ევერტონიდან“ გადავიდა, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა და მხოლოდ 11 გოლი გაიტანა.

თურქეთის ჩემპიონ „გალათასარაის“ მთავარ მწვრთნელად ალბათ რუმინეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი მირჩა ლუჩესკუ დაინიშნება. კლუბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საინფორმაციო სააგენტოებს განუცხადა, რომ კონტრაქტს ხელს სავარაუდოდ ამ კვირაში მოაწერენ. ლუჩესკუს ადრე მილანის „ინტერში“ უმუშავია, ბოლოს იგი ბუქარესტის „რაპიდს“ წვრთნიდა. „გალათასარაიში“ ლუჩესკუს ორი თანამემამულე — გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ თამაშობენ, თურქული პრესა იუწყება, რომ ჰაჯიმ, შესაძლოა, მოთამაშე მწვრთნელის თანამდებობა შეითავაზოს.

სიახლე!!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3FM ყაბლები პიტების ცალი

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მოგებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შემეების ბარეში იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი
21 ივნისი

21.00	053	სლოვენია-ნორვეგია	5,3	3,3	1,6
21.00	054	იუგოსლავია-ესპანეთი	3,0	2,9	2,2
23.45	051	დანია-ჩეხეთი	3,8	3,0	1,9
23.45	052	საფრანგეთი-ჰოლანდია	2,8	2,9	2,3

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		21 ივნისი									
21.00	073	სლოვენია-ნორვეგია	7,5	8,0	12,0	8,0	5,8	3,0	20,0	9,0	2,2
21.00	074	იუგოსლავია-ესპანეთი	4,5	8,0	12,0	5,0	4,5	4,2	12,0	8,0	3,5
23.45	071	დანია-ჩეხეთი	5,0	8,0	15,0	7,0	5,0	3,6	20,0	8,0	3,0
23.45	072	საფრანგეთი-ჰოლანდ.	4,5	7,0	12,0	5,3	4,7	4,5	15,0	7,0	3,6

(დასაშვებია №№071-074 გადამრავლება)

ევროპის ჩემპიონატი

ჩემპიონი
20 ივნისი (23.45)

101	ჰოლანდია	3,5
	იტალია	4,0
	ინგლისი	—
	გერმანია	—
	საფრანგეთი	4,0
	ესპანეთი	9,0
	იუგოსლავია	9,0
	ნორვეგია	15,0
	პორტუგალია	—
	რუმინეთი	—
	თურქეთი	25,0
	სლოვენია	100,0

ფინალში გასვლა
20 ივნისი (23.45)

201	ჰოლანდია	1,8
	იტალია	2,0
	ინგლისი	—
	გერმანია	—
	საფრანგეთი	2,0
	ესპანეთი	4,5
	იუგოსლავია	4,5
	ნორვეგია	7,0
	პორტუგალია	—
	რუმინეთი	—
	თურქეთი	10,0
	სლოვენია	50,0

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 20 ივნისი (23.45)

701	კლუივერტი	6,0	701	დელ პიერო	20,0	701	ჯორკაეფი	20,0
	რაული	10,0		სოლსკიაერი	40,0		კოვაჩევიჩი	50,0
	ანრი	6,0		ზიდანი	25,0		ფაულერი	—
	შირერი	—		ფიგუ	—		მილოშევიჩი	6,0
	ანელკა	10,0		მიატოვიჩი	40,0		მენდიეტა	50,0
	იანკერი	—		ფლო	40,0		ჰესკი	—
	ოუენი	—		ტრეზეგე	30,0		ოვერმარსი	50,0
	ბერხკამპი	10,0		სქოულზი	—		დიუგარი	50,0
	კირსტენი	—		ზაჰოვიჩი	20,0		სტოიკოვიჩი	50,0
	ფინძაგი	20,0		ტოტი	20,0		ილიე	—
	მონტელა	30,0		შუქური	15,0			

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „პროპრის“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში. არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია

გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს ! ამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ლეიკერსი!

მეთორმეტედ თორმეტი წლის შემდეგ

REUTERS ლოს ანჯელესიდან

შაკილ ონილი: ერთ ხელში ჩემპიონის თასი, მეორეში — უძვირფასესის ჯილდო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის
ფინალი (ოთხ მოგებამდე)

ლეიკერსი — ინდიანა 4:2

ლეიკერსი 116:111 ინდიანა

VI მატჩი. 19 ივნისი. ლოს ანჯელესი. სტეიპლზ სენტერი. 18 997 მაყ.

მსაჯები: ჯო კროუფორდი, ჰიუ ევანსი, რონ გარეტსონი

ლეიკერსი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ჰარპერი	37	3/8	0/2	0/0	3	9	2	0	2	6
ბრაიანტი	45	6/21	2/6	8/9	10	4	1	2	4	26
რაისი	35	2/4	3/3	3/6	6	2	1	0	3	16
გრინი	20	2/3	0/0	2/2	5	0	1	0	1	6
ონილი	47	19/32	0/0	3/12	12	1	0	4	2	41
ფოქსი	14	0/0	1/1	4/4	1	1	0	0	3	7
ჰორი	27	1/3	2/3	0/0	4	4	0	1	6	8
ფიშერი	8	0/1	2/2	0/0	1	3	0	0	1	6
ფოუ	7	0/1	0/0	0/0	2	1	0	0	2	0
სულ	240	33/73	10/17	20/33	44	25	5	7	24	116

ინდიანა	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ჯეკსონი	40	1/3	2/4	2/2	8	11	1	0	3	10
მილერი	40	6/9	2/10	7/7	1	3	1	0	1	25
როუზი	42	7/17	2/3	9/11	1	3	0	0	3	29
დევისი	35	8/10	0/0	4/6	14	3	0	3	4	20
სმიტსი	25	1/8	0/0	0/0	6	1	0	1	5	2
კროუფერი	23	1/2	3/5	5/6	5	0	0	1	5	16
პერკინსი	13	0/0	2/2	0/0	4	1	0	0	1	6
ბუსტი	8	0/2	0/0	0/0	1	2	0	0	1	0
მაკკეი	14	0/1	1/1	0/0	1	0	0	1	4	3
სულ	240	24/52	12/25	27/32	41	24	2	6	27	111



REUTERS

ლეიკერსელი გლენ რაისი ჯალენ როუზს გაექცა

რაღა თქმა უნდა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, რაღა თქმა უნდა, ფილ ჯეკსონი და მისი გუნდი, შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი... სხვა ვინ უნდა გამხდარიყო ჩემპიონი, სხვა ვინ იმსახურებდა პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ოქროს? „ლეიკერსზე“ მეტად არავინ. მან რეგულარულ სეზონში 67 გამარჯვება იზეიმა, დასავლეთის კონფერენციის ფინალში „პორტლენდს“ აჯობა, ფინალში აღმოსავლეთის რჩეული „ინდიანა“ დასცა.

და შაკილ ონილი? იგი წლეულს სეზონის, ოლ სტარის და ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. იყო ჩავარდნებიც, „პორტლენდთან“ 29, ხოლო „ინდიანასთან“ 33 ქულით დამარცხება და ბევრი სხვა წაგებული შეხვედრა განვლილ პლეი ოფში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ლეიკერსი“ ღირსეული ჩემპიონია. ეს გუნდი ამ სეზონში საუკეთესო იყო და ამას ლოსანჯელესელები მთელი წელი ამტკიცებდნენ.

ყველაფერი სერიის მეექვსე თამაშში დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალური სერიას დიდი ინტრიგა არ ახლდა, საკმაოდ დაძაბული გამოდგა. თუმც იყო ასე თუ ისე უფერული თამაშებიც. თუნდაც მეხუთე შეხვედრა გავიხსენოთ, სადაც „ინდიანამ“ 120:87 გააბითურა მომავალი ჩემპიონი. ძლევამოსილმა გამარჯვებამ ინდიანელი „მარდები“ ახალი ემოციით დამუხტა და მომქრალი იმედები კვლავ გაუღვივა. ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი ლარი ბერდის შეგირდები. „ინდიანას“ ლიდერი რეჯი მილერი, რომელიც ლოს ანჯელესში დაბადებულა და პირველი ბურთიც ამ ვეება ქალაქის ერთ-ერთი მიყრუებული ეზოს საკალათბურთო ფარში ჩაუგდია, თამაშამდე ამბობდა: „თავს არ დავზოგავთ გამარჯვებისათვის. „ლეიკერსი“ ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და მას არაერთხელ მოვუგეთ. ერთს გეტყვით, დღეს „ინდიანა“ და პირადად მე გაცილებით უკეთესად ვითამაშებთ, ვიდრე სერიის პირველ და მეორე მატჩებში. ფავორიტი ჩვენი მეტოქეა, გამარჯვებასაც მას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ჩვენ თავის დაზოგვა არ გვჩვევია, მით უმეტეს, რომ დანასარგი არაფერი გვაქვს“ — იგი ყველა თანაგუნდელის გულისთქმას გამოხატავდა. მართლაც „ინდიანა“ გავიდა მოედანზე, თამაშში სული და გული ჩადო და ბოლო წამებზე ღირსეულად დამარცხდა.

დაძაბული გამოდგა თამაში. სტუმრები ბოლო მეოთხედში ექვს ქულას იგებდნენ, მაგრამ ვინ დააცადა გამარჯვებით დატკბობა. შაკილ ონილმა ბოლო თორმეტწუთეულში ცამეტი ქულა გაუხერხა თავისიანებს, კობი ბრაიანტმა ბოლო 13 წამში ოთხი საჯარიმო ჩააგდო. ასევე ბოლო წამზე რეჯი მილერის სამქულიანი გლენ რაისმა მოხსნა და დადგა ის სანატრელი წუთიც, რომელსაც „ლოს ანჯელესი“ თორმეტი წელი ელოდა. რამდენიმე წამში გამარჯვებული გუნდი ათასობით გადარეული გულშემატკივრის გარემოცვაში მოექცა. ყველას სურდა, შეხებოდა გმირებს, რომელთაც ლოს ანჯელესი ასახელეს. ჩემპიონის მოოქროვილი თასის გადაცემა, შამპანურში ბანაობა და გამარჯვებულთა ყიჟინა... ლიგის ყველაზე მძიმეწონოსანი კალათბურთელი, 216-სანტიმეტრიანი და 145-კილოგრამიანი გიგანტი შაკილ ონილი ცრემლებს ვერ იკავებდა. შვილის გვერდით დედამისსაც ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. გრძნობებს და ემოციებს ვერ მალავდნენ მისი თანაგუნდელებიც: კობი ბრაიანტი, რონ ჰარპერი, გლენ რაისი... ყველა. ბევრის სიცოცხლეში ეს უბედნიერესი წუთები იყო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, საყოველთაო ზეიმს მოეცვა „სტეიპლზ სენთერი“.

ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ, რა თქმა უნდა, შაკილ ონილი დაასახელეს. ერთხმად. ზედმეტია კითხვა, რატომ. ონილმა ექვსივე თამაშში ჩააგდო 30 ქულაზე მეტი (სამჯერ 40 და მეტი) და მოხსნა 10 ბურთზე მეტი. საბოლოოდ მას სერიაში საშუალოდ 38,0 ქულა და 16,6 მოხსნა მოუგროვდა. ეს მაჩვენებლები თავისთავად უკვე ბევრზე მეტყველებს. „ინდიანამ“ ვერანაირად ვერ მოახერხა ამ მთაკაცის გაჩერება და მისი მარცხის უპირველესი მიზეზიც ეს გახლავთ. ამერიკაში არ ეზარებათ შაკილ ონილისთვის მეტსახელების შერქმევა. ძონძროხა, ერთფეროვანი მოთამაშე, საზიზღარი მსახიობი და უნიჭო რეპერი... ამ და კიდევ სხვა მრავალი ამგვარი ეპითეტებით ხშირად ამკობენ შაკს, მაგრამ ახლა მასზე აუგის სათქმელად ვის მოუბრუნდება ენა. დღეს შაკილ ონილი ლამის გმირად შერაცხეს. „ამ დღეს რვა წელი ველოდი. რვა სეზონის მერე მე ჩემპიონი და უბედნიერეს ადამიანი ვარ. ახლა ცოტას დავისვენებ და ბიჭებთან ერთად მეორე ოქროს შევუტევ.“ — შაკილისთვის ეს იქნებ მართლაც სიცოცხლეში უბედნიერესი წუთებია, მაგრამ უსაზღვრო სიხარული შაკს გონებას ვერ უბინდავს და ხელს არ უშლის, მომავალ ჩემპიონობაზე იფიქროს.

„სტეიპლზში“ საყოველთაო ზეიმის დროს დამარცხებული გუნდი რას აკეთებდა, არც ეს უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი. ვიღას ახსოვდა სტუმრები, მათ გულში სიცარიელეს და იმედისგაცრუებას დაესადგურებინა. ჩუმად ტიროდა ლეგენდარული ლარი ბერდი. მისი ცრემლების მიზეზი სულ სხვა გახლდათ. აქ დამთავრდა ლარი ბერდის სამწვრთნელო კარიერა, მისთვის სამწუხაროდ, წაგებით. სამგზის ჩემპიონმა და ამდენივეგზის სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ ცრემლები შეიმშრალა, „ლეიკერსს“ გამარჯვება მიულოცა და თქვა: „მე წავედი!“ და აქ გონებაში ამოტივტივდება 80-იანი წლები. ლარის და მეჯიქ ჯონსონის დაპირისპირება. დიდებული საკალათბურთო ხანა. ამჯერად როგორც მწვრთნელი, ისე დაუპირისპირდა ბერდი მოედანზე თავის ყველაზე „საძულველ“ მეტოქეს — „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ და მისთვის ყველაზე მწარე ის გახლავთ, რომ იგი სწორედ მასთან დამარცხდა.

ლარი ბერდი „მტერი“ მეჯიქ ჯონსონიც იქ იყო. სხვათა ტრიუმფის დღეს ეს ძირძველი „ლეიკერსელი“ მაინც მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა. 80-იან წლებში ხუთჯერ გაჩემპიონებული და ლარი ბერდის დარად სამგზის უძვირფასესი ახლა კი შიდსთან მებრძოლი მეჯიქი ხან ბერდს ამშვიდებდა და ხანაც შაკილთან, კობისთან და სხვა ბიჭებთან ერთად შამპანურში ბანაობდა, ბავშვივით ლაღობდა და ანცობდა, თითქოს ეს-ესაა მეექვსედ გახდა ჩემპიონი.

ლოს ანჯელესი თავისი საყვარელი გუნდის მე-12 გაჩემპიონებას ზეიმობდა და იქნებ გადამეტებულადაც. ვისზე ნაკლებნი ვართო და ლოსანჯელესელმა ფანებმა, ევროპელი კოლეგებისა არ იყოს, ლამის ცეცხლის ალში გაახვიეს ეს მზიანი ქალაქი. მრავალ ადგილას გიზგიზებდა უშველებელი კოცონი. ნასვამ და გადარეულ ფანებს ემსხვერპლა ოთხი მანქანა, მათ შორის ორი პოლიციის საპატრულო და ერთიც ტელევიზიის მიკროავტობუსი. „სტეიპლზს“ ათობით ათასი გულშემატკივარი შემოსჯარვოდა და „ინდიანა პეისერზის“ ავტობუსმა ორი საათი იყურყუტა, სანამ ამ არასასიამოვნო ატმოსფეროს გაეცლებოდა.

თუმცა ეს აყალმაყალი და ზარალი ვიღას ახსოვდა, „ლეიკერსი“ ჩემპიონი გახდა. ახლადგაჩემპიონებულმა გუნდმა დიდი მადაც გამოიჩინა. როგორც შაკილ ონილი ამბობს, ეს მხოლოდ დასაწყისია. „ლეიკერსი“ „ჩიკაგოს“ მიღწევის გამეორებას აპირებს.

ირაკლი ფიცარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტების ტიტულები

ბავშვობა საკალათბურთო ლიგის გამარჯვებული 1983-84 წლებში დაბადებულთა შორის შარშანდელის მსგავსად კვლავაც თბილისის „ტიტები“ გახდა. გურამ მეგრელიძის გუნდი ფინალში ასევე დედაქალაქის „არწივებს“ (მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე) შეება და მესამე, გადამწყვეტ შეხვედრაში მოგებით თანატოლებში საქართველოს ჩემპიონობა შეინარჩუნა.

გარდა ამისა „ტიტები“ შეტოქეთაგან იმითაც გამოირჩა, რომ აწ უკვე გასრულებული პირველობის ყველაზე ნორჩი წარმომადგენელი გახლდათ. მეგრელიძის გუნდი თითქმის მთლიანად 1984 წელს დაბადებულებითაა დაკომპლექტებული, რომელთაგანაც ბევრმა კარგა ხანია, სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო.

მაშ, ასე: ბავშვთა ლიგის 1999-2000 წლის ჩემპიონი „ტიტები“: დავით საყვარელიძე, ვლადიმერ რუსია, ირაკლი სეხნიაშვილი, ირაკლი სიგუა, გიორგი ლომთათიძე, გიორგი ზამბახიძე, ლაშა გამყრელიძე, ალეკო წარია, გიორგი ცხკაია, ლევსო ლაფანაშვილი, დავით დანელია, სანდრო ნარიმანიძე, შოთა გრიშიკაშვილი.

საბერძნეთი

პანათინაიკოსმა გალანდასკენ გაიხედა

ამერიკელმა ჯონი როჯერსმა ათენის „პანათინაიკოსი“ დატოვა. ევროლიგის და საბერძნეთის ჩემპიონს სასწრაფოდ ესაჭიროება მისი შემცვლელი. ბერძნულმა კლუბმა დიდი ფიქრის გარეშე დაადგა თვალი ბოლონიის „ფორტიტუდოს“ და იტალიის ნაკრების ფორვარდს ჯაკომო გალანდას (25 წლის, 210 სმ). „პანათინაიკოსის“ წინადადება სერიოზულია და, საეჭვოა, გალანდამ და „ფორტიტუდომ“ ცდუნებას გაუძლონ. შეგახსენებთ, რომ ათენელებმა როჯერსამდე გაუშვეს იგივე ამპლუის მთამაშეები — გიორგოს კარაგუტისი და კოსტას მაგლოსი.

ამასობაში „პანათინაიკოსმა“ საბოლოოდ დაადასტურა, რომ უკანახაზელები, ებრაელი ოდედ კატაში და იტალიელი ნანდო ჯენტილე ერთი სეზონით გუნდში რჩებიან. ათენელები სალონიკის პაოკ-ის კაპიტნის გიორგოს ბალოიანისის დასაკუთრებასაც ცდილობენ. „პანათინაიკოსი“ მზადაა, გამოისყიდოს ბალოიანისის კონტრაქტი და სამ წელიწადში ხელფასის სახით 1,3 მილიონი დოლარი გადაუხადოს.



ჯაკომო გალანდა

ევროპული ამბები

ლიტვა

ლიტველები ამერიკაში წყვილად გაკვეთეს

არტურას კარნიშოვასი (№12) და არვიდას საბონისი

ორმა ლიტველმა კალათბურთელმა, არვიდას საბონისმა და არტურას კარნიშოვასმა თითქმის ერთდროულად გაიკეთეს ოპერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მაგრამ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში კალათბურთელთა მონაწილეობა კვლავ საეჭვოა.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრმა არვიდას საბონისმა ვანკუვერელ ექიმებს ანდო მარჯვენა ფეხი. ლიტველს კოჭზე ძვლოვანი წანაზარდები მოაშორეს. აღდგენით პროცესს ერთი თვე სჭირდება, თუმცა მედიკოსები საბონისს ოლიმპიადისთვის სრულფასოვანი განკურნების გარანტიას ჯერ ვერ აძლევენ.

ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ფორვარდი არტურას კარნიშოვასი ერთი კვირის წინ ჩავიდა ნიუ იორკში და საოპერაციოდ საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ დაწვა. ოპერაციამ, რომელსაც „ფორტიტუდოს“ ექიმიც დაესწრო, 20 წუთი გასტანა. ქირურგებმა კარნიშოვასს მარცხენა მუხლიდან მენისკი ამოკვეთეს. ნარკოზიდან გამოსულმა კალათბურთელმა ტკივილი ვეღარ იგრძნო. კარნიშოვასმა იმავე დღეს დატოვა საავადმყოფო.

ლიტველ კალათბურთელს სარეაბილიტაციო პერიოდად ექვსი კვირა დაუთქვეს. ფეხი თაბაშირში არ ჩაუსვეს, სამაგიეროდ ყავარჯნებით სიარული ურჩიეს. ამ ექვს კვირას კარნიშოვასი შეერთებულ შტატებში გაატარებს და ლიტვაში აგვისტოს დასაწყისში ჩავა. ექიმებმა პირდაპირ უთხრეს კალათბურთელს, სიდნეიში თამაშის მინიმალური შანსი გაქვსო.

იტალია

ბოლონიურმა გუნდებმა მენეგინი ვერ გაიყვეს

იტალიის ჩემპიონატის დასრულებისთანავე „ვარეზესა“ და ქვეყნის ნაკრების ფორვარდმა ანდრეა მენეგინმა ხსვა კლუბში გაყიდვა მოითხოვა. კლუბის პრეზიდენტი ტოტო ბულგერონი დათანხმდა, ოღონდ კალათბურთელს სოლიდური ფასი დაადო.

ქვეყნის ჩემპიონმა ბოლონიის „ფორტიტუდომ“ აუქციონი გახსნა და თქვა: „ვარეზეს“ ორი მილიონი, ხოლო მენეგინს სეზონში 750 ათასი დოლარიო.

ვაჭრობაში ჩაერთნენ ესპანეთის „ბარსელონა“ და პირეოსის „ოლიმპიაკოსი“. ამ უკანასკნელის პირობები საუკეთესო იყო, მაგრამ მენეგინმა სამშობლოს გარეთ თამაში იუარა.

ბოლო სიტყვა ბოლონიისვე „კინდერმა“ თქვა: „ვარეზეს“ ორი მილიონი, ხოლო მენეგინს სეზონში ერთი მილიონი დოლარიო.

თითქოს ვაჭრობა მორჩა. რა უშლის ხელს მენეგინს „კინდერში“ გადასვლაში? რა და, ერთი ზარი, რომელიც „ვარეზეს“ პრეზიდენტის მობილურზე გაისმა. ბულგერონის ფორტიტუდოელი კოლეგა შეხმიანებია და მენეგინში ლამის ორმაგი თანხის გადახდა შეუთავაზებია.

ეს ცნობა ოფიციალურად ჯერ არავის დაუდასტურებია, თუმცა, ფაქტია, რომ მენეგინის „კინდერთან“ კონტრაქტის გაფორმება დროებით გადაიდო. ის, რომ კალათბურთელი ბოლონიაში გაგრძელებს კარიერას, უეჭველია. გასარკვევი ისღაა, „კინდერი“ მოიგებს აუქციონს თუ „ფორტიტუდო“.

ჭრელი Perla

პერლა

ჭრელი Perla

მარგალიტების მაღაზია

აქეთ მსაჯს ხომ არ ჩამოუვლია?

თბილისი
18 ივნისი

ყოჩები 23:13 (7:13) ასკ

ყოჩები: კიკუაშვილი, ხოსრუაშვილი, სულთანიშვილი (თედორაძე), ხურცილავა, დ. ხაბეიშვილი, ურუშაძე, სოფრომაძე (გ. ხაბეიშვილი), კობახიძე, ხელაძე, ტეფნაძე, იმნაძე, ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, მხეიძე, პეტრიაშვილი.
2ლ — ურუშაძე, პეტრიაშვილილ
3ს — კობახიძე (3), 2გ — კობახიძე (2)
ასკ: მაგრაქველიძე, სუჯაშვილი, ქავთარაძე (მისურაძე), ჭელიძე, მათიაშვილი, სვანიძე, ცხადაძე, ვალიაშვილი (მინაშვილი), აბუსერიძე, ძამიაშვილი, კოდუა (ბალაბჩივაძე), კაპანაძე, უჩავა, ზაქარიაძე, კიკნაძე
2ლ — სვანიძე, მაგრაქველიძე
1ს — უჩავა.
მეთვალყურე: ზ. ხარშილაძე
მსაჯი: პ. ნარიმანიშვილი

ეს მატჩი რამაზ სანებლიძეს უნდა ემსაჯა, მაგრამ იგი გაუგებარი მიზეზის გამო თამაშზე არ გამოცხადდა. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ შეხვედრა გაურკვეველი ვადით უნდა გადადებულიყო, მაგრამ ორივე გუნდის მწვრთნელ-მორაგბეების თხოვნის შემდეგ თამაშს გვერდითი მსაჯი პაატა ნარიმანიშვილი გაუძღვა. უნდა ითქვას, რომ მორაგბეებს მასზე აუგი არ დასცდენიათ. თვითონ მატჩი კი, რომელიც ცხადია, დაგვიანებით დაიწყო, ისეთი უშეცოდავთო და დაძაბული გამოდგა, იფიქრებდით, ჩემპიონატის ფინალს ვუცქერით. ფინალამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მანამდე კი თბილისის „ყოჩები“ ნელ-ნელა შედის ფორმაში და ამტკიცებს, რომ თბილისის „ლოკომოტივი 1“-სა და „დათვებთან“ მარცხი მოუმზადებლობის ბრალი იყო.

პირველი ტაიმი არმიელთა უპირატესობით წარიმართა. ასკ-ს პირველივე წუთებზე ჰქონდა ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ „ყოჩებმა“ მოახერხეს სიტუაციის განმუხტვა.

ამასობაში კი ლელო მომწიფდა. მასპინძელთა სალელოე მოედანთან არმიელმა აბუსერიძემ სწრაფად შემოიტანა ბურთი აუტიდან, სვანიძეს კი ისღა დარჩენოდა, თავისი გუნდი დაეწინაურებინა. უჩავამ ვერ გარდასახა, საერთოდ, ასკ-ს დამრტყმელს იმ დღეს ნამდვილად არ წაუვიდა თამაში, მთელი მატჩის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება. „ყოჩებმა“ მდევრის როლი ითაკილეს და მეტოქეს მძლავრად შეუტიეს. მათი ერთ-ერთი სწრაფი იერიში ურუშაძემ ლელოთი დააგვირგვინა, კობახიძემ ზუსტად გარდასახა და ამჯერად უკვე „ყოჩები“ დაწინაურდნენ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით. არმიელებმა მალევე მიაღწიეს სასურველ შედეგს. ჯერ მაგრაქველიძემ ივარგა, ტაიმის ბოლო წუთზე კი უჩავამ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და პირველი ნახევარი 7:13 დასრულდა.

შესვენებისას გაწვიმდა და მოედანი ატალახდა, მორაგბეებს უჭირდათ მძიმე გრუნტზე კომბინაციების გათამაშება. ამ დროს უფრო სწორ ტაქტიკას „ყოჩებმა“ მიმართეს — მათ სასარგებლოდ დანიშნული ყოველ ჯარიმას პირდაპირ კარში ურტყამდნენ. ამან შედეგი გამოიღო. კობახიძემ სამჯერ ზუსტად დაარტყა, პეტრიაშვილმა კი სულაც ლელო გაიტანა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში.

თბილისი
18 ივნისი

უნივერსიტეტი 9:29 (9:17) დათვები

უნივერსიტეტი: ჯანუყაშვილი (კვიტარიძე), კუთარაშვილი, ალიბეგაშვილი (წიკლაური), ბიძინაშვილი (გუნდიშვილი), გუჯარაიძე, ქირიკაშვილი, მჭედლიშვილი, მეავანაძე, დანელია (ჩქარეული), მოდებაძე, კ. ელოშვილი, კიზირია (ძოწენიძე), ო. ელოშვილი (ბარამიძე), ჭუმბურიძე, ჯავრიშვილი
3ს — მოდებაძე (3)
დათვები: აშვეთია, გურუშიძე (წინიძე), ფირცხალავა (ლლონტი), ჩირგაძე, აბაშიძე (რეხვიაშვილი), გოგისვანიძე (ბერიძე), სვანიძე, აბდალაძე, ტყაბლაძე, მაჩიტიძე, ევგენიძე, ხონელიძე, ე. ძაგნიძე, სვინტრაძე, ჩუბინიძე
4ლ — აბდალაძე, ტექნიკური ლელო, მაჩიტიძე, ჩუბინიძე; 1ს — ე. ძაგნიძე, 3გ — ე. ძაგნიძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე
მსაჯი: ლ. მგელაძე

კვირას გამართულ მატჩში უდავო ფავორიტად ბათუმის „დათვები“ ითვლებოდნენ. ჯერ ერთი, ზღვისპირელები გაცილებით სოლიდურად გამოიყურებიან, ვიდრე „უნივერსიტეტი“, მეორეც, სტუდენტები წლევანდელი ჩემპიონატის აუტსაიდერები არიან, პირველი წრის ყველა შეხვედრაში დამარცხდნენ და ქულაც კი ვერ მოიპოვეს. მათგან არც ახლა მოელოდა ვინმე რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ თამაშის დასაწყისი თითქოს ინტრიგას გვპირდებოდა.

პირველი ტაიმის საწყის წუთებზე სტუდენტებმა საგრძნობი უპირატესობა იგდეს ხელთ, მათი შეტევების შეჩერებისას „დათვები“ ხშირად ჯარიმდებოდნენ, რითაც მოდებაძემ ისარგებლა და ზუსტად შესრულებული ორი საჯარიმოს წყალობით თავისი გუნდი დააწინაურა — 6:0. ამან თითქოს გამოაცოცხლა სტუმრები, „დათვები“ დაცვაში მჭიდროდ ათამაშდნენ და შერკინების ხარჯზე შეუტიეს მეტოქეს. სწორედ შერკინების კარგი თამაშის შემდეგ შეძლო ბათუმელმა აბდალაძემ პირველი ლელოს გატანა, ხოლო ცოტა მოგვიანებით მთავარმა მსაჯმა ლევან მგელაძემ მიიჩნია, რომ სტუდენტები წესების დარღვევით მოქმედებდნენ შერკინებაში და „დათვებს“ ტექნიკური ლელო ჩაუთვალა. უმცროსმა ძაგნიძემ ორივე გარდასახა. ამ ორ ლელოს შორის სტუდენტმა მოდებაძემ კვლავ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ამით მატჩის სურათი არ შეცვლილა. პირველი ტაიმი სტუმართა სასარგებლოდ დასრულდა — 9:17.

მეორე ნახევარში „დათვებმა“ ტემპს უმატეს, რაც მთავარია, კომბინაციების გააზრებულად გათამაშება იწყეს. ამან შედეგიც გამოიღო. ბათუმელმა მაჩიტიძემ რამდენიმე მოწინააღმდეგეს თავი დააღწია და მესამედ დალაშქრა „უნივერსიტეტის“ სალელოე მოედანი. სტუმრებმა გამარჯვება გაინაღდეს, მაგრამ პრემიალური ქულაც სჭირდებოდათ, რის მოპოვებაც ნამდვილად არ გასჭირვებიათ — მორიგი იერიშისას ძაგნიძემ ფეხით ბურთი სტუდენტთა სალელოე მოედანთან ჩაკიდა. იქ კი ჩუბინიძემ იმარჯვა და ლელო გაიტანა.

გაჩო სვანიძე

ტონგელებმა წაქცეული ტონგა დაინდეს

ტესტი
16 ივნისი, ნორთ ჰარბერი

ახალი ზელანდია 102:0 ტონგა

ახალი ზელანდია: კალენი (ჰოულეტი 40), უმაგა, იერემია, პ. ალატინი, ლომუ, ბრაუნი, მარშალი, რენდელი (ტიატია 51), კრონფელდი (რობერტსონი 64), ტორნი, ფლეიველი, ბლეკედერი (კაპ.), სომერვილი (მეუფსი 64), ჰემეტი (ოლივერი 64), დოუდი
15 ლ — ფლეიველი (3), უმაგა (2), ჰოულეტი (2), ბრაუნი, იერემია, კალენი, ჰემეტი, ბლეკედერი, კრონფელდი, ტიატია, მარშალი;
12 გ და 1 ს — ბრაუნი
ტონგა: ტაუფაემა, ტიუეტი (ტუფოუ 73), ტაუმალოლო, ს. ალატინი (მანოკო 35), ტაუპეაფე, კ. ვუნიპოლა, ჰაფეა (მონე 50), ტოლოკე, კოლიი, საფი (ფაკაონგო 40), კივალუ (მოლიტიკა 40), ფატანი, ტაუმოეპო, ფ. ვუნიპოლა (კაპ.) (მაკა 77), ტაუ (ფაინგანუკუ 71)

წლეულს გასამართ ტესტ-მატჩებში პირველ მეტოქედ ახალმა ზელანდიამ ტონგა აირჩია და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გამარჯვების გემოც გაიხსენა. შარშან მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში (საფრანგეთთან) და მესამე ადგილისთვის მატჩში (სამხრეთ აფრიკასთან) წაგების შემდეგ ახალ ზელანდიას აღარ ეთამაშა. ამ პერიოდში „შავების“ ბანაკში რამდენიმე ცვლილება მოხდა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე უეინ სმიტმა ჯონ ჰარტი შეცვალა. სმიტმა სახელი 1998-99 წლებში კრაისტჩერჩის ზე 12-ში ორჯერ გაჩემპიონებით გაითქვა. მე-15 ნომრიანი მაისურა კრისტიან კალენმა მოირგო, რადგან ჯეფ უილსონმა სანაკრებო კარიერა შეწყვიტა. ასე რომ, სმიტმა ველინგტონური სამკუთხედი მიიღო — ფლანგებზე ჯონა ლომუ და ტანა უმაგა არიან. სამმეოთხედელებში კიდევ ერთი ველინგტონელია — ალამა იერემია, ვინც ამ სეზონში საკმაოდ ჭკვიანური თამაშით მიიპყრო სმიტის ყურადღება. დამრტყმელად ენდრიუ მერთენსს ტონი ბრაუნი არჩიეს, ალბათ, ეს ზე 12-ის დამთავრებამდე მერთენსის მიერ მიღებულმა ტრავმამაც (ფინალში მაინც ითამაშა) განაპირობა, მაგრამ იქნებ ბრაუნის თამაშის სტილი უფრო მოსწონს „ოლ ბლექსის“ ახალ თავკაცს? პასუხს მომავალი ტესტები გაგვცემს. შერკინებაში მთავარი ცვლილება კრაისტჩერჩის კაპიტნის ტოდ ბლეკედერის მესამე კეპია. ზე 12-ის სამგზის ჩემპიონმა ნაკრებშიც კაპიტნის სტატუსით ითამაშა, ტეინ რენდელმა კი კაპიტნის სამკლაურის მსგავსად ძირითადის ადგილი აღარ დაკარგა.

რაც შეეხებათ ტონგელებს, წლეულს ისინი ეროოდ უხეიროდ თამაშობენ, წყნარი ოკეანის ჩემპიონატში კანადასთან და ფიჯისთან წააგეს და მხოლოდ იაპონიის ძლევა შეძლეს. ნაკრების თავკაცი, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ახალზელანდიელი ჯიმ უოტერსონი ამ შედეგებს გუნდის გაახალგაზრდავებით ხსნის. ჩვენი მიზანი მომავალ მსოფლიოს თასზე გასვლაა. ახალ ზელანდიასთან კი შარშან 9:45 წავაგეთ და ახლა უფრო დიდ წინააღმდეგობას გავუწევთო, თქვა მან. თუმცა...



ავსტრალიელი კრის ლეტჰემის „მფრინავი“ ლელო

როგორც ანგარიშიდანაც ჩანს, მატჩი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, სმიტმა საკმაოდ ბევრი ცვლილება ჩაატარა და ბევრი ახალბედაც იხილა საქმეში. ყველაზე მეტად მას ტროი ფლეიველი უნდა მოსწონებოდა, რომელიც წარმოშობით ნორთჰარბურელია, ზე 12-ში კი ოკლენდის ღირსებას იცავდა. მან მთელი მატჩი აღმავლობით ჩაატარა და 3 ლელოც გაიტანა. კარგად ითამაშა კალენის შემცვლელმა დუგ ჰოულეტმაც, ვის ანგარიშზეც ორი ლელოა. ისე, ლელო უამრავმა ახალზელანდიელმა გაიტანა — თერთმეტმა! თუმცა ამ თერთმეტეულში განთქმული მელელოე ჯონა ლომუ არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტაიმი ითამაშა. ალბათ, თავისი თვისტომების გამწარება არ უნდოდა. ყოფილი თანამემამულეები წარმოშობით მეორე ტონგელმა, პიტა ალატინმაც დაინდო, რომლის უმცროსი ძმა სემიც სტუმართა რიგებში ირჯებოდა.

თითქმის უშეცდომოდ ურტყამდა ბრაუნი, რომელმაც ჯამში 32 ქულა მოიხვეჭა და შეიძლება შოტლანდიასთან მომავალ ტესტშიც სწორედ ის დააყენოს სმიტმა ძირითადში მერთენსის ნაცვლად. ტონგელთა მხრიდან კი ვინმე თუ საერთოდ თამაშობდა, ძნელი სათქმელია.

17 ივნისი, ბრისბენი

ავსტრალია 53:6 არგენტინა

ავსტრალია: ლეტჰემი, მორტლოკი, ჰერბერტი, ჰორანი (ლითლი 49), როფი, ლარკჰემი (კაფერი 40), გრეგანი (კორდინლი 79), უილიამსი (ლაიონსი 49), უილსონი, კოკბეინი, ილსი (კაპ.) (კონორსი 20), გიფინი, დაისონი (პანოპო 58), ფოლი (პაული 64), ჰარი
9 ლ — ლეტჰემი (4), უილიამსი (2), როფი (2), კონორსი; 4 გ — როფი
არგენტინა: კონტეპომი, ბარტოლუჩი, ჯანანტონიო, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე, სილი, პიოტი, ლონგო, მარტინი, ფელანი (გარსია 57), ფერნანდეს ლობე, ალუბი, სელსო, მენდეზი, დიას ალბერდი
2 ს — სილი

ირბ-ს რიგით მეორე და მესამე ნაკრებებს (ანბანურ სიაში) შორის გამართული ტესტი სარეკორდო სხვაობით მოიგო ავსტრალიამ. აქამდე ამ ორი ქვეყნის ურთიერთშეხვედრებიდან ყველაზე დიდი ანგარიშით 1995 წელს ჩატარებული მატჩი აღინიშნა — იმავე ბრისბენში მასპინძლებმა სტუმრები 53:7 დაჯაბნეს.

არგენტინელებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ისე დაეტაკნენ ავსტრალიელები. ბურთი თამაშში „პუმებმა“ შეიტანეს, მაგრამ ჯანანტონიომ მისი მიღება ვერ შეძლო, ლეტჰემმაც იხეირა და თავისი პირველი ლელო 22-ე წამზე გაიტანა. ამის მერე, ერთი ხანობა, მატჩის სადავეებს არგენტინელები დაეუფლნენ, მაგრამ ქულებს თუ ვერ მოიხვეჭ, მხოლოდ ტერიტორიული უპირატესობა რა ბედენაა? მათ ორი იოლი საჯარიმო გააცუდეს და ორი ლელოც მსაჯმა, შოტლანდიელმა ჯიმ ფლემინგმა არ ჩაუთვალა. ისე, ეს არბიტრი, ეტყობა, ერთობ ცუდად გაუძღვა მატჩს, რადგან მისით ორივე გუნდი უკმაყოფილო იყო. საინტერესოა, რომ ფლემინგის მსაჯობისას არგენტინას ერთი შეხვედრაც კი არ მოუგია.

და თუ ავსტრალია ანგარიშში სხვაობას ვერ ზრდიდა, ეს მისი დამრტყმელი მორტლოკის უგერგილობის ბრალი იყო. მან შვიდიდან ყველა დარტყმა გააცუდა, რის შემდეგაც ეს ფუნქცია როფმა გადაიბარა და თავის ორ ლელოს ოთხი გარდასახვაც წაამატა. ტაიმის ბოლომდე როფთან ერთად კონორსმაც გამოიჩინა თავი და ანგარიში 15:3 გახდა. კონორსს იმ დღეს ეგებ სულაც არ ეთამაშა, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ჯონ ილსმა ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ორმოცწუთიანში სამხრეთამერიკელთა შემართება სადღაც გაქრა. „პუმები“ მხოლოდ „ვოლაბების“ იერიშების მოგერიებაზე ფიქრობდნენ და ამ საქმეშიც ვერ ივარგეს. მასპინძლების სამმეოთხედელები სტუმრებისას აშკარად ჩაგრავდნენ და შედეგად ავსტრალიამ კიდევ ექვსი ლელო გაიტანა. არგენტინა, მართალია, რამდენჯერმე რიცხოვბრივ უმცირესობაშიც იყო, მაგრამ მისი წევრების მიერ თამაშის ყველა ფაზაში დაშვებულ უამრავ შეცდომას გამართლებას მაინც ვერ უპოვნი.

მატჩის გმირი კი უდავოდ კანბერას წევრი ლეტჰემი გახდა. იგი მეოთხე ავსტრალიელია, ვისაც ტესტში ოთხჯერ დაულელოვებია მოწინააღმდეგე. აქამდე ეს გრეგ კორნელსონს (1978წ), დევიდ კემპისს (1983) და ჯეისონ ლითლს (1998) გაუკეთებიათ.

17 ივნისი, პრეტორია

სამხრეთ აფრიკა 18:13 ინგლისი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, ჰაულსი, ფლეკი (დელპორტი 74), ბარი, როსოუ, ფან სტრაატენი, ფან დერ ვესტჰოიზენი, ფენტერი, ვოსი (კაპ.), ერასმუსი (კრაიჯი 21), ბოომი (ფან დენ ბერგი 74), ოტო, მეიერი, მარე, კემპსონი (ლე რუ 74)
6 ს — ფან სტრაატენი
ინგლისი: პერი, სტიმპსონი, ტინდელი, კეტი (ლოიდი 73), ლუგერი, ჰილეი, ბრეკენი, ჰილი, დალალიო, ბეკი, გრივკოკი, ჯონსონი (კაპ.) (შოუ 72), ვაიტი, გრინნგი, ლეონარდი
1 ლ — ლუგერი; 1 გ და 2 ს — სტიმპსონი

ხუთი ერის და აწ უკვე ექვსი ერის პირველობაზე ინგლისი, ალბათ, ყველაზე უფრო კორექტული გუნდია. მაგრამ სამხრეთ აფრიკასთან ტესტში ინგლისელები საკმაოდ ხშირად არღვევდნენ თამაშის წესებს და სწორედ ამიტომაც ვერ აიღეს რევანში მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში წაგებისთვის. იმ მატჩში „ქურციკებმა“ დე ბეერის არეკნების წყალობით იმარჯვეს, ამჯერად კი მათმა მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა უფრო შემტევი რაგბი დაუპირისპირა მეტოქეს. თუმცა მასპინძლებმა მაინც ვერ შეძლეს ინგლისის დაცვის გარღვევა და მხოლოდ ფან სტრაატენის საჯარიმოებით დაკმაყოფილდნენ.

ისე, მომხდურთა იერიშები უფრო სახიფათო იყო, თუმცა მათ მაინც ბევრი დააკლდათ სიმწვავეში ჯონი უილკინსონის არყოფნის გამო. შეხვედრა ინგლისელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ანგარიში მაინც აფრიკელებმა გახსნეს. მე-12 წუთისთვის ისინი 6:0 დაწინაურდნენ. უილკინსონის არყოფნაში დამრტყმელობა სტუმართაგან ტომ სტიმპსონმა იკისრა და მალე ანგარიშში სხვაობაც შეამცირა.

ამის მერე უპირატესობას „ქურციკები“ დაეუფლნენ და მათი შეტევების შეჩერებისას სტუმრები ხშირად ჯარიმდებოდნენ. ფან სტრაატენმაც შესვენებამდე კიდევ სამი საჯარიმო შესრულა კარგად. აქ ინგლისელებმა ისევ გამოიღვიძეს და მეტოქის სალელოე მოედანსაც შეუტიეს. 31-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგად დან ლუგერმაც მატჩის პირველი (და როგორც გაირკვა უკანასკნელიც) ლელო გაიტანა.

სტუმრები შესვენების შემდეგაც არ დამცხრალან. მათ ლამის საჯარიმო ლელოც მიითვალეს, როცა „ქურციკების“ ახალმა კაპიტანმა ანდრე ვოსმა თავის სალელოე მოედანზე უბურთოდ შეჭრილი სტიმპსონი შეაოჭა, მაგრამ მსაჯმა ვიდეო დაიხმარა (პირველად ტესტების ისტორიაში) და მანამდე ინგლისელებს წინ პასი დაუფიქსირა. სტიმპსონმა 58-ე წუთზე მაინც წამოაწია თავისი გუნდი მოწინააღმდეგეს (13:15), მაგრამ სტუმრებმა მეტი ვეღარ შეძლეს. 74-ე წუთზე კი ლოიდის უხეშობისთვის დანიშნული ჯარიმა ფან სტრაატენმა გამოიყენა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირა. ამ გუნდების მეორე ტესტი შაბათს გაიმართება ბლომფონტეინში.

17 ივნისი, ტორონტო

კანადა 27:27 ირლანდია

კანადა: 3 ლ — სტენლი, მერფი, სტიუარტი; 3 გ. და 2 ს — სტიუარტი
ირლანდია: 3 ლ — ჰორგანი, ბიშოპი, უოლასი; 4 ს — ოგარა (3), ჰამფრეზი

ეს გუნდები აქამდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივეჯერ „სამყურებმა“ გაიმარჯვეს. ამჯერად კი კანადელებმა გაცილებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს და ფრეც გაახერხეს. თუმცა მეტის გაკეთებაც შეეძლოთ. შესვენებამდე ისინი 21:8 იგებდნენ და 80-ე წუთზე ოგარას ზუსტი საჯარიმო რომ არა, ისტორიულ გამარჯვებასაც მოიპოვებდნენ. ამ მატჩით ირლანდიის ამერიკული ტურნე დასრულდა, რომლის განმავლობაშიც ევროპელებმა არგენტინასთან წააგეს, აშშ კი გაანადგურეს.

გაიოზ თალაკვაძე

შეიძლება ითქვას, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელნი — სპორტსმენები, მწვრთნელები, ექიმები, დელეგაციათა ხელმძღვანელები, საპატიო სტუმრები, ჟურნალისტები და სხვებიც, ჩემოდნებზე სხედან. ჩვენთვის ეს საჩემოდნო განწყობა მეტად მინორულია. ქართველ ოლიმპიელთა ბანაკიდან ცუდი ხმები მოდის — ერთს ვარჯიში ჩაშლია, მეორეს შეკრება, ნაწილს კი დაგეგმილ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ჰოდა, ისინიც ყურებამოყრილნი „სხედან და ელიან". ყოველივე ამის მიზეზი მეტად პროზაულია — უფულობა! არადა, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, მით უფრო იქ მედლის მოპოვებას, ყველა ქვეყანა — დალხინებულიცა და ჩვენზე წყალწაღებულიც — უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს და პრესტიჟის საქმედ მიიჩნევს. ამიტომაც ნემსის ყუნწში ძვრებიან, რათა ოლიმპიურ სარბიელზე ღირსეულად გამოჩნდნენ. ჩვენთან კი...

ჩვენთან რას არ გაიგონებს კაცი. ამ ხმებმა მიგვიყვანა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან, ვისთან საუბარსაც ქვემოთ გთავაზობთ.

გიხაროდეთ, დაპირებები გრძელდება

— ამბობენ, თითქოს მთავრობის ერთ-ერთ დიდმოხელეს უთქვამს, კი მაგრამ, ამ გაჭირვებისას რა აუცილებელია ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობა. რა, ოლიმპიადა უჩვენოდ ვერ ჩატარდებაო?

ემზარ ზენაიშვილი

— ასეთი რამ მე არ გამიგონია. მთავრობაში თუ პარლამენტში ყველას კარგად ესმის ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობის უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ სულ სხვა საქმეა სახელმწიფოს ხელმოკლეობის ამბავი. და მაინც, როგორც არ უნდა იყოს, ქვეყანა მთლად რომ დაიქცეს, საქართველოს წარმომადგენლები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მაინც იასპარეზებენ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უზრუნველყოფს სიდნეიმდე და უკან მგზავრობასაც, რაც სახელმწიფოსთვის 100 000 დოლარიანი შედავათია; ჩვენ ვუზრუნველყოფთ ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლასაც და სახელმწიფოს არცერთი თეთრი არ ეხარჯება ოლიმპიურ სოფელში დელეგაციის წევრთა ცხოვრებისთვისაც. ჩვენი კონტაქტებისა და ურთიერთობების წყალობით სახელმწიფოსთვის შეღავათია ისიც, რომ იაპონური ფირმა „მიზუნო" 100 000 დოლარიან დახმარებას გვიწევს და გვჩუქნის ეკიპირებას. „რიბოკი" გვჩუქნის სპორტული ფორმის 60 კომპლექტს. სახელმწიფოსთვის ისიც დიდი შეღავათია, რომ ორი წლის განმავლობაში 40 სპორტსმენი და დაახლოებით 20-ზე მეტი მწვრთნელი 50-დან 500 დოლარამდე ოლიმპიურ სტიპენდიას ღებულობს ისე, რომ ქვეყანა ამ თანხის ერთ ცენტსაც არ იხდის.

— აგიწყვიათ საქმე და ეგაა! მაშ სახელმწიფოსგან რაღას ითხოვთ?

— ოლიმპიური დელეგაციის თბილისის აეროპორტამდე მიყვანას.

— ეგ როგორ, სახელმწიფოს გვერდის ავლით ამდენი სახსრები მოგიზიდიათ, ლამის ყველაფერი მოგგვარებიათ და აეროპორტამდე მისაყვანი ფული ვერ გიშოვიათ?

მაინც, რამხელა დელეგაციის გამგზავრებას აპირებთ, რომ მის წევრთა აეროპორტამდე მიყვანა პრობლემა გამხდარა?

— დელეგაციაში იმდენივე სპორტსმენი იქნება, რამდენიც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა. ესაა 34-36 სპორტსმენი და კიდევ მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი, დელეგაციის ხელმძღვანელობა... სულ ალბათ 80-85 კაცი, მაგრამ აეროპორტამდე მიყვანაში მე ვგულისხმობ სპორტსმენთა ვარჯიშს, შეკრებებს, შეჯიბრებებში მონაწილეობას, ბუკლეტების გამოცემას, ურომლისოდაც სიდნეიში არცერთი დელეგაცია არ ჩავა. ვგულისხმობ თავგამოწნილ სპორტსმენთათვის საპრიზო ფონდის გამოყოფას, სპორტული და სააღლუმო ჩაცმულობის, ორგანიზაციულ-ტექნიკური, საკომუნიკაციო, სამედიცინო მომსახურების ხარჯებს თუ მედიკამენტების შესაძენ თანხებს...

— მაგრამ თქვენ ხომ თქვით, „მიზუნო" და „რიბოკი" სპორტულ ფორმას გვჩუქნისო.

— დიახ, გვჩუქნის, მაგრამ არა ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენელთათვის განკუთვნილ სპეციფიკურ ფორმას. ის რაც არგია მოჭიდავეს, არ არგია ძიუდოისტს, ის რაც სჭირდება ძიუდოისტს, არ გამოადგება ტანმოვარჯიშეს, ტანმოვარჯიშისა კი აკრობატს და ასე შემდეგ. დელეგაციაში თითხმეტი სახეობის წარმომადგენლები იქნებიან და თითხმეტივეს სხვადასხვა ფორმა სჭირდება. „რიბოკი" და „მიზუნო" არც სააღლუმო ჩაცმულობას გვჩუქნის. მას ფრანგული ფირმა გვიკერავს, მაგრამ, ვიმეორებ, სააღლუმოდ გამოწყობამდე სპორტსმენის ვარჯიში და სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობაა საჭირო. ყოველივე ამისთვის ყველა ხარჯი უკიდურესობამდე რომ შევამცირეთ, ერთი მილიონი ლარი მაინც გვჭირდება, რაც არა გვაქვს და სპორტსმენების მზადების დონეც დაფინანსების შესაბამისია. აგერ, ჩვენი მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, თბილისში რამდენიმე დღით თავისი სახსრებით ჩამოვიყვანეთ იმ პირობით, რომ ჩვენი ხარჯით ატლანტაში ევროპის ჩემპიონატზე გავამგზავრებდით.

სამწუხაროდ, დაპირება ტყუილი გამოგვივიდა, რადგან სახელმწიფომ მისი ატლანტაში გასამგზავრებელი თანხა ვერ გამონახა.

ერთსაც გავიხსენებ — საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი ვანო გრიქუროვი, რომელიც გაჭირვების გამო პოლონეთში გადაიხვეწა და იქაურებს ავარჯიშებს, დიდ დახმარებას დაგვპირდა. კერძოდ, გვითხრა, 15 ივნისამდე თუ გიორგი ასანიძესა და მუხრან გოგიას როგორმე ვარშავაში გამომიგზავნით, ისე მოვამზადებ, რომ სიდნეიში პირველი ჩემპიონი გახდება, ან ვერცხლის მედალს მოიპოვებს, მეორე კი ბრინჯაოს. თუ საამისოდ მათ მომზადებას ვერ შევძლებ, ვიტყვი, კარგი მწვრთნელი არ ვყოფილვარო. იმასაც გვპირდებოდა, პოლონეთში მათ არავითარი ხარჯი არ ექნებათო.

დღეს 20 ივნისია, მაგრამ ასანიძეცა და გოგიაც თბილისში სხედან. მიზეზი ისევ უფულობაა. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ სიდნეიში მხოლოდ მონაწილეობისთვის ჩავალთ, ეს კი ოდნავ თავმოყვარე ქვეყანას არ უნდა აკმაყოფილებდეს.

— მაშ საპრიზო ფონდს რისთვისღა ითხოვთ?

— სპორტსმენებს ისეთი გუნება-განწყობა აქვთ, რომ ამბობენ, მედალი რომ მოვიპოვოთ, პრემიას მაინც არავინ მოგვცემსო. მათ სახელმწიფოს ნდობა აღარ აქვთ, რადგან ბევრჯერ გაწბილდნენ. ამიტომ მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს თანხა გამოყოფილია არა დაპირებით და ქაღალდზე, არამედ რეალურად.

წარმოიდგინეთ, სიდნეიში რომ ერთმა ჩვენმა სპორტსმენმა მედალი მოიპოვოს და მას პრემია დაპირებისამებრ იქვე არ გადავცეთ, მეორე როგორი განწყობითღა იასპარეზებს?

— კი მაგრამ, საქართველოს პრეზიდენტი ხომ საჯაროდ ბევრჯერ დაგპირდათ, ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობისა და მოსამზადებლად ყველა ღონეს ვიხმართო. მან საამისოდ საკუთარი ფონდიდან თანხის გამოყოფაზეც კი გამოთქვა იდეა. ასე იყო მაშინაც, როცა სოკ-ის პრეზიდენტმა ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა, მერე კი ქანდაკება „XX საუკუნის კარიბჭეც" გამოუგზავნა. ასე იყო ოლიმპიელებთან შეხვედრისასაც და საპრეზიდენტო ინაგურაციისას სიტყვით გამოსვლისას.

მაშინ, ოლიმპიელებთან შეხვედრისას, თავის სეფე სიტყვაში ისიც კი თქვა, მიუხედავად იმისა, მე კვლავ ამირჩევენ პრეზიდენტად თუ არა, ჩემი თანადგომის და ფინანსური დახმარების იმედს გაძლევთო.

— მაშინ პრეზიდენტს არ დაუსახელებია კონკრეტული თანხა, თუმცა, მაქსიმალურ დახმარებას დაგვპირდა. იმ შეხვედრაზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც თავად პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში, მაგრამ იმ კომისიის სხდომა დღემდე არ ჩატარებულა. ამას ალბათ ხელი შეუშალა საპრეზიდენტო არჩევნებმა, მთავრობის ფორმირებამ... დღეს იმ კომისიის წევრთაგან ბევრი შესაცვლელია.

საქართველოს პრეზიდენტი ის კაცია, ვისაც არავისზე ნაკლებად არ ესმის სპორტის როლი და მნიშვნელობა. 30 წელია, რაც ვიცნობ მის დამოკიდებულებას სპორტის, სპორტსმენების, მწვრთნელების მიმართ. იმასაც კარგად ვათვიცნობიერებთ, თუ დღეს რა მდგომარეობაშია ქვეყანა, მისი ბიუჯეტი, ეკონომიკა, ხალხის ცხოვრების დონე... არ შეიძლება რომ ასეთ ვითარებაში სპორტს განსაკუთრებული მოთხოვნები ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს აუცილებელ მინიმუმზე. ივნისში ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის დეპარტამენტმა ერთად, 10 000 ლარი მიიღო. ასეთი პირობებში ნურავინ ელის სიდნეიში რაიმე წარმატებას.

— ახლა დაპირებები გრძელდება თუ ესეც აღარ არის.

— დაპირებები გრძელდება, მაგრამ კონკრეტულად რა თანხაზეა საუბარი, არ ამბობენ. თუმცა, რა რაოდენობაზეც უნდა იყოს საუბარი, დრო და მასთან ერთად ბევრი რამ დაკარგულია.

— უკვე იმდენი წელია რაც გვიჭირს, რომ დაგვავიწყდა კიდეც, როდის გვქონდა ან საერთოდ გვქონდა თუ არა უკეთესი ცხოვრება. და მაინც, თუ შევადარებთ 4 წლის წინანდელ ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ანალოგიურ პერიოდს დღევანდელობასთან, როდის იყო უკეთესი ვითარება?

— მაშინ წინა პერიოდი იყო საშინელი. იყო თბილისის ომი, აფხაზეთის ომი, ცხინვალის ომი, ნგრევა, ყაჩაღობა და ათასი უბედურება, მაგრამ ოლიმპიელთა მზადების ბოლო ეტაპზე ფინანსური პრობლემები პრაქტიკულად არ გვქონია. ახლა ამ მხრივ უკიდურესად ცუდი ვითარებაა. ამ გაჭირვებულ ქვეყანას თუ ოლიმპიელებისთვის გამოსაყოფი სულ რაღაც მილიონი მთლად დააქცევს, საშველი აღარ ყოფილა. ასეთ პირობებში სიდნეიში არ გვეყოლება არც ქვეყნის პრეზიდენტი, არც პარლამენტის თავმჯდომარე, არც ქვეყნის სხვა ხელმძღვანელი, რაც სახელმწიფოს იმიჯისთვის ცუდი იქნება.

— ჟურნალისტები?

— ჩვენი დიდი სურვილია, რომ სიდნეიში პრესის წარმომადგენლებიც იყვნენ. კვოტებით მათთვის რვა აკრედიტაციაა გამოყოფილი და კონკრეტულ პიროვნებებზე თანხმობაც მოსულია. სამწუხაროდ, მათი სასიდნეოდ დაფინანსება რედაქციებს არ შეუძლიათ. ამიტომ, თუ სახემწიფომ თავის თავზე არ აიღო მათი დაფინანსება, ნაწილობრივ მაინც, ისე, ალბათ, სიდნეიში საქართველო იქნება ერთადერთი, ვისაც ჟურნალისტები არ ეყოლება.

5 ივნისს სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდება სიდნეიში წამსვლელთა შემადგენლობა და პრესაში გამოქვეყნება ყველას ვინაობა, თუ ოლიმპიურ თამაშებზე ვინ ვის ხარჯზე გაემგზავრება, მანამდე კი სიდნეის მატარებელს სისწრაფე აუკრეფია.

ვინ დაეწევა მატარებელს?!

ავთანდილ გურასაშვილი

საქართველოს ნინო სალუქვაძემ რუსულ ტირში ქართველებმა აჭირეს

ნინო სალუქვაძემ შარშან მიუნხენისა და მილანის მსოფლიოს თასის ეტაპებზე შედეგიანი სროლით თავის მრავალრიცხოვან კოლექციას სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი შემატა. წლეულს მისი მზადების გეგმა უფულობამ რამდენადმე შეაფერხა, თუმცა ივნისის დასაწყისში თბილისის სპორტის სამმართველომ დორტმუნდში შეკრებაზე გაუშვა, ოღონდ ეს შარშანდელი წარმატების გასამეორებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ნინომ მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა მიუნხენში სპორტული იარაღიდან სროლაში და მაშინაც თავის საუკეთესო შედეგს გვარიანად ჩამორჩა.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძემ ლიცენზიები მოიპოვა როგორც სპორტული, ისე პნევმატური იარაღიდან სროლებში, რამაც სიდნეიში დამატებით კიდევ ერთი მონაწილის გამოყვანის უფლება მოგვცა. დღემდე კანდიდატებად ბათუმელი დარეჯან დუმბაძე და ქუთაისელი ნინო უჩაძე ითვლებოდნენ. ფედერაციამ არჩევანის გაკეთება არ იჩქარა და მეტოქეებს ჯერ ევროპის პირველობაზე, ახლა კი მიუნხენსა და მილანშიც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. უჩაძემ ყველგან აჯობა კონკურენტს და სალუქვაძესაც სიდნეიში პარტნიორობას ის გაუწევს.

დაბოლოს, იმ პრობლემაზეც ვთქვათ, რომელთაც სალუქვაძე მზადების პროცესში წააწყდა. როგორც იცით, ჩვენი უპირველესი ოლიმპიური იმედი სხვის ბაზასაა შეფარებული. ის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ტირში ვარჯიშობს, თუმც ფედერაციამ იქ ფაქტობრივად საწვრთნელი ცენტრი მოაწყო. თავის დროზე მხარეებმა ხელშეკრულება გააფორმეს, რომელიც ქართველი მსროლელებისთვის საგადასახადო შეღავათს ითვალისწინებდა. ამ ხელშეკრულებას რუსები პირნათლად ასრულებენ, ქართველები კი გვარიანად სცოდავენ — საიჯარო თანხა დღემდე არ გადაუხდიათ. რუსებმა, ეტყობა, იფიქრეს, წასვლის წინ მათი ვალი თან არ გავიყოლოთო და ჩვენს ჩუბინებს სალუქვაძის თამადობით კარისკენ უთითებენ, ფულს თუ არ გადაიხდით, ტირში არ შეგიშვებთო. ფული კი არ ჩანს და ნინოებს ისევ რუსთა სულგრძელობისა ეიმედებათ.

ირაკლი თავაძე

დიაცის კვალზე

დიდებული რეგატა „იერეფ უან ნიუ მენ სტარი" ფაქტობრივად დასრულდა. გაირკვა გამარჯვებული პირველი კლასის როგორც ტრიმარანებში, ისე ცალკორპუსიან იახტებში და ის ინტრიგაც, რეგატას თან რომ ახლდა, სამი მეოთხედით მაინც ამოიწურა. იახტების დანარჩენი უმრავლესობა ჯერაც შორსაა ფინიშიდან, ხუთიდე კლასის აფროსნები წიწილებივით გაფანტულან უნაპირო ატლანტიკაში და, კაცმა რომ თქვას, იმდენად საინტერესო აღარცაა, ვინ როდის ჩავა ნიუპორტში, მთავარი უკვე მოხდა: როდ აილენდის ციცქნა შტატის ციცქნა საპორტო ქალაქის შესასვლელი მოწინავე ცალკორპუსიანმა იახტებმა უკვე გაიარეს. ბრიტანელმა ელენ მაკარტურმა ფინიში გადალახა და ერთი პირი გამოიძინა კიდეც, სანამ ათი დღის მანძილზე მისი ამაოდ მდევართა სამეული გამოჩნდებოდა. მეორე ადგილისთვის კი დიდი ბრძოლა იყო. ფრანგი როლან ჟურდენი თავისი იახტიდან უკვე გამოკვეთილად ხედავდა ბრიტანელ მაიკ გოლდინგს, მაგრამ ფინალურ მილებზე მაინც იმძლავრა და მისმა წითელკორპუსა „სილმა" საათზე მეტით გაუსწრო გოლდინგის „თიიმ გრუპ 4"-ს. ეს უკანასკნელი კი ხეირიანად არც გაჩერებულიყო, როცა ნიუპორტს ახლა თეთრლურჯი ზოლებით ზებრასავით აჭრელებული „სოლიდაირესი" მიადგა ზედ მდგარი ტიერი დიუბუათი. ფრანგი ბრიტანელს მხოლოდ 43 წუთით ჩამორჩებოდა. ამგვარმა სპრინტმა ნავსადგურში თავმოყრილთა ოვაციები გამოიწვია. მათგან უმრავლესობა იახტსმენთა საახლობლო იყო. ცალკორპუსიან იახტებში მეხუთე ალბათ იტალიელი ჯოვანნი სოლდინი იქნება, რომელიც „ფილას" ფირმის იახტით სარგებლობს.

დავით გულუა

ცალკორპუსიანი იახტები

საბოლოო შედეგები

1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი, „კინგ ფიშერი")
2. როლან ჟურდენი (საფრანგეთი, „სილი") — +14სთ 27წთ.
3. მაიკ გოლდინგი (დიდი ბრიტანეთი, „თიიმგრუპ 4) — +15:39;
4. ტიერი დიუბუა (საფრანგეთი, „სოლიდაირესი) — +16:22.

მაიკ გოლდინგმა ნიუპორტს მესამემ უწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბრიუსელიდან

ადამიანმა არ იცის

19 ივნისი, შუადღე. ბრიუსელის გრანდ პლასზე დიდი სამზადისია — ბელგიელები თავიანთი ნაკრების თურქებთან მატჩისთვის ეროვნულად ფერადდებიან და მეოთხედფინალისტობაში ეჭვიც არ ეპარებათ. ეგრეა, რა იცის ადამიანმა, რო მოხდება წლებისა და თვეების მერე კი არა, სულ რამდენიმე საათში...

ქალი და მამაკაცი

არა, ეს არც ჰიჩკოკის ფილმის კადრებია და არც რეპორტაჟი სქესნაცვალთა თავყრილობიდან, უბრალოდ შვედი ქომაგები თავიანთი ნაკრების წარუმატებლობას განიცდიან. ოღონდ რა შუაშია აქ გასაბერი მანდილოსანი (რომლის მკლავებშიც, ალბათ, მოგვიანებით მარცხის სიმწარის დავიწყებას შეეცდებიან) ან ეს ორიგინალური ქერა პარიკი, ღმერთმა უწყის.

REUTERS ბრიუსელიდან

არა ჩემი სჯობს შენს

პორტუგალიურ სანტა მარია დე ფეირაში ევროპის 15 ქვეყნის თავკაცობა შეკრებილა. მსჯელობის საგანი წესით ავსტრიელი ულტრამემარჯვენეების მოკვეთა და გადასახადების უკეთ აკრეფის პრობლემები უნდა იყოს, მაგრამ საფეხბურთო ჩემპიონატის დროს ამეებისთვის ვის სცხელა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი (მარცხნივ) და ეროვნული ნაკრების კაპიტანი კისერდამშვენებული პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ანტონიო გუტიერესი ვერ შეთანხმებულან, ნუნუ გომეშს უფრო გრძელი თმები აქვს თუ ემანუელ პეტის.

იტალიელის ფიქრები

რა ჯობია იმ შეგრძნებას, რომ შენი საყვარელი გუნდი ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალშია, ყველა მეტოქე დაჯაბნა და სამართლიანადაც ითვლება ერთ-ერთ ფავორიტად. მაშინ არც 40-გრადუსიანი სიცხე გაწუხებს, არც თაკში ავარდნილი ალკოჰოლი და არც გზად დაკარგული თუ შემოხეული ტანსაცმელი, მით უმეტეს, თუ ხელში იტალიის დროშა გიპყრია და ვილაც გულისხმიერი წყლითაც გაგრილებს... მალე ჩემპიონი ვიქნები.

REUTERS ბრიუსელიდან

REUTERS ბრიუსელიდან

REUTERS ბრიუსელიდან

შაითან, შაითან...

19 ივნისი, საღამო. ბელგიელი გულშემატკივრები აღარსად ჩანან, სამაგიეროდ თურქეთის ნაკრების ისტორიულ გამარჯვებას უკვე ნახევარმთვარეულები ზეიმობენ. სურათზე გამოსახული თურქ გულშემატკივარს ალბათ ამის თქმა უნდა: ისეთი შაითნობა ჩამოგვიყვანია, მარტო თქვენს წითელ ეშმაკებს კი არა, ანგელოზებს სხვებსაც დაუფრთხობენო...

ყველაზე საშიში ქომაგი

ბელგიურმა პოლიციამ შვებით უნდა ამოისუნთქოს, რომ ამ არცთუ მწყაზარი იერის ინგლისის ნაკრების გულშემატკივართან საქმე არა აქვს დასაჭერი. მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მაიკ ტაისონი ამჟამად ლონდონშია, რამდენიმე დღეში კი თავის მუშტებს გლაზგოში ლუ საკარეზეს დაუშენს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოჭრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge